



**შპს „პეტროკას ფიუელ სერვისიზ ჯორჯია“**

**ქ. ბათუმში, ბათუმის აეროპორტის ტერიტორიაზე, ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობა  
და ექსპლუატაცია**

**სკრინინგის ანგარიში**

## **ეკოპეტრი**

**მომზადებულია: შპს „გარემოსდაცვითი და შრომის უსაფრთხოების საკონსულტაციო  
და საგანმანათლებლო ცენტრი - ეკომეტრის“ მიერ**

ქ. თბილისი, 2023 წელი

## სარჩევი

1.	შესავალი .....	3
2.	ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის შესახებ .....	4
2.1	საპროექტო ტერიტორიის ადგილმდებარეობა .....	4
3.	ობიექტზე გათვალისწინებული ინფრასტრუქტურის აღწერა .....	10
3.1	სარეზერვუარო პარკისა და ბეტონის შემოზვინვის აღწერა .....	10
3.2	საწვავის მიმღებ-გამცემი ბაქანი შესაბამისი ტუმბოებით .....	12
3.3	ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული წყლების გამწმენდი ნაგებობა .....	12
3.4	საწვავის მიმღებ-გამცემი მილგაყვანილობა რკინაბეტონის მიწისქვეშა ვარცლში .....	14
3.5	ხანძარსაწინააღმდეგო წყლებისთვის განკუთვნილი რეზერვუარები და ხანძარსაწინააღმდეგო ქაფგამანაწილებელი კვანძი .....	14
3.6	ნარჩენების განთავსების უბანი .....	16
4.	ნავთობპროდუქტების საცავის წარმადობა .....	16
5.	ტექნოლოგიური პროცესის აღწერა, საწვავის მიღების და გაცემის პროცედურა .....	16
5.1	საწვავის მიღების ტექნოლოგიური პროცესის აღწერა .....	16
5.2	საწვავის გაცემის ტექნოლოგიური პროცესის აღწერა .....	18
6.	ობიექტის სამუშაო გრაფიკი და დასაქმებულების რაოდენობა .....	20
7.	საპროექტო ტერიტორიასთან მისასვლელი გზები .....	20
8.	წყალმომარაგების და ჩამდინარე წყლების მართვის საკითხები .....	20
8.1	ობიექტის წყალმომარაგება მშენებლობის და ექსპლუატაციის დროს .....	20
8.2	ჩამდინარე წყლების მართვის საკითხები მშენებლობის და ექსპლუატაციის დროს .....	21
8.3	სამურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების მართვა .....	21
8.4	სანიაღვრე წყლების მართვა .....	21
9.	ნარჩენების მართვის საკითხები .....	23
9.1	ნარჩენების მართვის გეგმა .....	23
10.	გარემოს არსებული მდგომარეობის აღწერა .....	32
10.1	კლიმატი და მეტეოროლოგიური პირობები .....	32
10.2	სეისმური პირობები .....	35
10.3	საპროექტო ტერიტორიის გეოლოგიური აგებულება .....	35
10.3.1	საინჟინრო - გეოლოგიური კვლევების შედეგები .....	36
10.3.2	წყლის სინჯის ქიმიური ანალიზის შედეგი .....	36
10.4	საპროექტო ტერიტორიის ბიოლოგიური გარემო .....	38
10.5	დაცული ტერიტორიები, ტყის ფონდის მიწები, ზურმუხტის ქსელი .....	40
10.6	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები .....	40
10.7	არსებული საკომუნიკაციო ქსელები .....	41
11.	ზემოქმედების შეფასება .....	42
11.1	ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე, ტყის ფონდის მიწებსა და ზურმუხტის ქსელზე .....	42
11.2	ზემოქმედება მცენარეულ საფარზე და ცხოველთა სამყაროზე .....	42
11.3	ნიადაგის ან/და გრუნტის წყლების დაბინძურება, ზემოქმედება ზედაპირული წყლის ობიექტზე .....	42
11.4	ზემოქმედება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე .....	43
11.5	ზემოქმედება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე .....	45
11.6	ზემოქმედება სატრანსპორტო ნაკადებზე .....	45

11.7	ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ზემოქმედება.....	45
11.8	ხმაურის გავრცელება.....	48
11.9	კუმულაციური ზემოქმედება.....	48
12.	ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა.....	49
12.1	ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმის მიზნები და ამოცანები.....	49
12.2	პროექტის განხორციელების დროს მოსალოდნელი ავარიული სიტუაციების სახეები.....	50
12.2.1	ხანძარი/აფეთქება.....	50
12.2.2	საშიში ნივთიერებების მათ შორის ნავთობპროდუქტების ზალპური დაღვრა.....	51
12.2.3	რეზერვუარების დაზიანება და ნავთობპროდუქტების ავარიული დაღვრა.....	51
12.2.4	პერსონალის ტრავმები და მათი ჯანმრთელობის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები.....	51
12.2.5	ბუნებრივი ხასიათის ავარიული სიტუაციები.....	52
12.2.6	ავარიული სიტუაციების წარმოქმნის ძირითადი პრევენციული ღონისძიებები.....	52
12.2.7	ინციდენტის სავარაუდო მასშტაბები.....	53
12.3	ავარიულ სიტუაციებზე რეაგირება.....	53
12.3.1	რეაგირება ხანძრის შემთხვევაში.....	53
12.3.2	რეაგირება საშიში ნივთიერებების დაღვრის შემთხვევაში.....	55
12.4	ობიექტის ექსპლუატაციის შეწყვეტის შემთხვევაში გარემოს წინანდელ მდგომარეობამდე აღდგენის გზებისა და საშუალებების განსაზღვრა.....	56
12.4.1	ობიექტის მოკლევადიანი გაჩერება ან რემონტი.....	56
13.	დანართი 1 - ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.....	57
14.	დანართი 2 - ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.....	60
15.	დანართი 3 - ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის წერილი.....	62

## 1. შესავალი

შპს „პეტროკას ფიუელ სერვისიზ ჯორჯია“, რომელიც წარმოდგენილია გალფ ავიაციის სახით წარმოადგენს საავიაციო საწვავის მიმწოდებელ კომპანიას, რომელმაც პირველმა ააშენა ულტრა თანამედროვე საავიაციო საწვავის ტერმინალი და თბილისის საერთაშორისო აეროპორტში დაწერა უნიკალური ჰიდრანტის სისტემა, რომელიც ერთადერთია საქართველოში. საავიაციო საწვავის შემოტანა ხდება სხვადასხვა ქვეყნებიდან, რომლის საქართველოში ტრანსპორტირებაც ხორციელდება გემით ან სარკინიგზო მაგისტრალით. საწვავის გემით ტრანსპორტირების შემდეგ, პროდუქტი იტვირთება ფოთის პორტის ნავთობის ტერმინალში. საბოლოოდ საავიაციო ნავთი ნაწილდება და მიეწოდება თვითმფრინავებს საქართველოს სხვადასხვა აეროპორტებში.

შპს „პეტროკას ფიუელ სერვისიზ ჯორჯია“ ემსახურება როგორც საზოგადოებრივ (თავდაცვის სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო) ასევე კერძო სექტორს; ისეთ ავიაკომპანიებს როგორცაა: თურქეთის ავიახაზები, პეგასუსი, ეარ ფრანსი, უზბეკეთის ავიახაზები, პოლონეთის ავიახაზები, მაივეი, საქართველოს ავიახაზები, ჯეო სქაი, უკრაინის ავიახაზები და სხვა. გარდა ამისა, გალფ ავიაცია უზრუნველყოფს საავიაციო საწვავით მომსახურებას საქართველოს მასშტაბით რამოდენიმე ლოკაციაზე, თუმცა ძირითადი მომსახურების არეალია თბილისის და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტები. საავიაციო საწვავის მიწოდების ლოკაციები მოიცავს ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტს, ნატახტარის აეროდრომს, მესტიის საერთაშორისო აეროპორტს, ასევე ბარისახოს, ყვარელის და თელავის აეროდრომებს.

ამ ეტაპზე, შპს „პეტროკას ფიუელ სერვისიზ ჯორჯია“ ქ. ბათუმის აეროპორტის ტერიტორიაზე გეგმავს საავიაციო ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობას, რომელიც მოემსახურება ბათუმის აეროპორტში ოპერირებად ავიაკომპანიებს.

ვინაიდან, კომპანიის დაგეგმილი საქმიანობა წარმოადგენს საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის მე-6 პუნქტის, 6.3 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას და აღნიშნულ საქმიანობაზე, სამინისტრო, ამავე კოდექსის მე-7 მუხლით დადგენილი სკრინინგის პროცედურის გავლის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას გზმ-ის საჭიროების შესახებ, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობასთან დაკავშირებით მომზადებული იქნა სკრინინგის ანგარიში.

ცნობები ობიექტის და სკრინინგის ანგარიშის მომზადებული საკონსულტაციო კომპანიის შესახებ მოცემულია ცხრილში N1.

## ცხრილი N1 – ინფორმაცია კომპანიების შესახებ

საქმიანობის განმახორციელებელი	შპს „პეტროკას ფიუელ სერვისიზ ჯორჯია“
კომპანიის იურიდიული მისამართი	საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ი. ჭავჭავაძის გამზირი, N34, სართული 6
კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერი	405208216
კომპანიის დირექტორი	ივანე ევსია
გარემოსდაცვითი მმართველი	ნიკოლოზ დოროყაშვილი
საქმიანობის სახე	ნავთობისა და ნავთობპროდუქტის, ნავთობქიმიური ან/და ქიმიური პროდუქტის საცავის მოწყობა და ექსპლუატაცია.
საქმიანობის განხორციელების ადგილმდებარეობა	ქ. ბათუმი
საკონსულტაციო კომპანია	შპს „გარემოსდაცვითი და შრომის უსაფრთხოების საკონსულტაციო და საგანმანათლებლო ცენტრი - ეკომეტრი“
საიდენტიფიკაციო ნომერი	405390973
იურიდიული და ფაქტიური მისამართი	თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ზურაბ და თეიმურაზ ზალდასტანიშვილების ქ. N16
დირექტორი	თინათინ ჟიჟიაშვილი
საკონტაქტო ინფორმაცია	ვებგვერდი: <a href="http://www.ecometer.org.ge">www.ecometer.org.ge</a> E-mail: <a href="mailto:info@ecometer.org.ge">info@ecometer.org.ge</a> ტელ: 593 044 044; 577 38 01 13

## 2. ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის შესახებ

### 2.1 საპროექტო ტერიტორიის ადგილმდებარეობა

როგორც შესავალ ნაწილში აღინიშნა, შპს „პეტროკას ფიუელ სერვისიზ ჯორჯია“ ქ. ბათუმში, აეროპორტის ტერიტორიაზე გეგმავს საავიაციო ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობასა და ექსპლუატაციას. საპროექტო ტერიტორია (ს/კ: 05.32.19.205) წარმოადგენს შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“ საკუთრებას, რომელიც მართვის უფლებით, სახელმწიფო კონტრაქტის მეშვეობით გადაცემული აქვს შპს „ტავ ურბან საქართველოს“. აღნიშნულ ტერიტორიაზე ნავთობპროდუქტების საცავის განთავსების მიზნით, შპს „პეტროკას ფიუელ სერვისიზ ჯორჯიასა“ და შპს „ტავ ურბან საქართველოს“ შორის გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება (აღნიშნული ხელშეკრულება მისი კონფიდენციალური შინაარსიდან გამომდინარე არ არის წარმოდგენილი).

ტერიტორიის საერთო ფართობი შეადგენს 1 160 785 მ<sup>2</sup>-ს, საიდანაც ზემოაღნიშნული ნავთობპროდუქტების ბაზის მოწყობისთვის გამოყოფილი იქნება დაახლოებით 1900 მ<sup>2</sup> ფართობი. ნავთობბაზის განთავსებისთვის გამოყოფილი ტერიტორიის GPS კოორდინატები მოცემულია ცხრილში N2.1.1.

**ცხრილი N 2.1.1 – ნავთობბაზისთვის განკუთვნილი ტერიტორიის (1900მ<sup>2</sup>)  
GPS კოორდინატები**

N	X	Y
1	716872.525	4609775.885
2	716914.0518	4609742.627
3	716891.7337	4609714.778
4	716850.2169	4609748.038

ამასთან, ნავთობბაზის მიმდებარედ, დაახლოებით 240 მ<sup>2</sup> ფართობის ტერიტორიაზე, მოეწყობა ხანძარსაწინააღმდეგო წყლებისთვის განკუთვნილი 4 ერთეული მიწისზედა ვერტიკალური რეზერვუარი, ჯამური მოცულობით 240 მ<sup>3</sup>. რეზერვუარების განთავსების ადგილის GPS კოორდინატები მოცემულია ცხრილში N2.1.2.

**ცხრილი N 2.1.2 – ხანძარსაწინააღმდეგო წყლებისთვის განკუთვნილი რეზერვუარების  
განთავსების ტერიტორიის (240 მ<sup>2</sup>) GPS კოორდინატები**

N	X	Y
1	716826.9434	4609796.156
2	716836.6315	4609808.254
3	716845.7163	4609800.971
4	716836.0275	4609788.883

ნავთობპროდუქტების განთავსების საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი კორპუსი საკადასტრო კოდით: 05.32.21.028 მდებარეობს დაახლოებით 171 მეტრში. რაც შეეხება უახლოეს ზედაპირული წყლის ობიექტს - მდ. ჭოროხს, ნავთობპროდუქტების საცავების განთავსების ტერიტორიიდან დაშორებულია დაახლოებით 1700 მეტრით, ხოლო შავი ზღვა დაახლოებით 1600 მ-ში მდებარეობს. ტერიტორიას ესაზღვრება შპს „საქაერონავიგაციის“ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები (ს/კ: 05.32.04.380 და 05.32.04.382), შესაბამისი შენობა-ნაგებობებით, რომელთაგან ერთ-ერთზე (ს/კ: 05.32.04.382) განთავსებულია საჰაერო მოძრაობის მეთვალყურის კოშკურა. საპროექტო ტერიტორიიდან, თვითმფრინავების ასაფრენი ზოლი დაშორებულია დაახლოებით 120 მ მანძილით. საპროექტო ტერიტორიიდან მტირალას ეროვნული პარკი დაშორებულია 11 კმ მანძილით, ხოლო მაჭანელას ეროვნული პარკი დაახლოებით 15 კმ მანძილით, ხოლო, ზურმუხტის ქსელის საიტი, ჭოროხის დელტა GE0000054, დააშორებულია დაახლოებით 600 მეტრით.

ბაზისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე, დაგეგმილია 4,5 მ სიმაღლის 3 ერთეული ნავთობპროდუქტების რეზერვუარის განთავსება. აქედან N1 რეზერვუარი იქნება 150 მ<sup>3</sup> მოცულობის, N2 რეზერვუარი 150 მ<sup>3</sup> მოცულობის და N3 რეზერვუარი 100 მ<sup>3</sup> მოცულობის. თითოეული რეზერვუარის განთავსების GPS კოორდინატი მოცემულია ცხრილში N2.1.3.


## ცხრილი N 2.1.3 – რეზერვუარების განთავსების GPS კოორდინატები

რეზერვუარის N	X	Y
რეზერვუარი N1	716883.9608	4609744.357
რეზერვუარი N2	716893.4667	4609745.411
რეზერვუარი N3	716889.3444	4609739.141

ტერიტორიაზე ნავთობპროდუქტების შემოტანა განხორციელდება შესაბამისი ავტოტრანსპორტით, არსებული გზების გამოყენებით.


მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე ბათუმის მუნიციპალიტეტის გენ.გეგმა დამუშავების ეტაპზეა, დოკუმენტს თან ახლავს (დანართი N3) ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასთან კომუნიკაციის ამსახველი წერილი.





სურ. N2.1.1 - საპროექტო ტერიტორიის სიტუაციური რუკა





სურ. N2.1.2 – ნავთობპროდუქტების საცავის გენ. გეგმა (მაღალი გარჩევადობით ის. დანართი)



სურ. N2.1.3 - საპროექტო ტერიტორიასთან მისასვლელი გზის ფოტოები

### 3. ობიექტზე გათვალისწინებული ინფრასტრუქტურის აღწერა

საპროექტო ტერიტორიაზე დაგეგმილია შემდეგი საწარმოო და ინფრასტრუქტურული ობიექტების მოწყობა:

1. სამი ნავთობპროდუქტების რეზერვუარისგან შემდგარი სარეაზერვუარო პარკი შესაბამისი ბეტონის შემოზვინვითა და რეზერვუარებზე ასასვლელი კიბეებით და რეზერვუარიდან რეზერვუარზე გადასასვლელი ხიდებით;
2. საწვავის მიმღებ-გამცემი ბაქანი შესაბამისი ტუმბოებით;
3. საოპერატორო ჯიხური, ობიექტის ავტომატური მართვისთვის;
4. დაბინძურებული წყლების მიწისქვეშა გამწმენდი ნაგებობა;
5. ნარჩენების განთავსების უბანი შესაბამისი ჰერმეტიკული კონტეინერებით და მარკირებით;
6. საწვავის მიმღებ-გამცემი მილგაყვანილობა რკინაბეტონის მიწისქვეშა ვარცლში;
7. მთავარი ელ. გამანაწილებელი ფარი;
8. ხანძარსაწინააღმდეგო ქაფგამანაწილებელი კვანძი შესაბამისი ტუმბოებით;
9. სახანძარსაწინააღმდეგო წყლებისთვის განკუთვნილი ოთხი რეზერვუარი;
10. სამარაგო დენის გენერატორი ავარიული შემთხვევებისთვის;
11. სახანძრო ჰიდრანტი, შესაბამისი სახანძრო სტენდით და კარადით;
12. აქტიური მენამრიდები.

#### 3.1 სარეზერვუარო პარკისა და ბეტონის შემოზვინვის აღწერა

ნავთობპროდუქტების ბაზისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე დაგეგმილია 4,5 მ სიმაღლის სამი ნავთობპროდუქტების რეზერვუარის განთავსება. აქედან N1 რეზერვუარის მოცულობა იქნება 150 მ<sup>3</sup>, N2 რეზერვუარის მოცულობა 150 მ<sup>3</sup> და N3 რეზერვუარის მოცულობა 100 მ<sup>3</sup>. სამივე რეზერვუარის ჯამური მოცულობა იქნება 400 მ<sup>3</sup>. რეზერვუარები იქნება ფოლადის, მიწისზედა, ვერტიკალური განლაგების. N1 და N2 რეზერვუარი განკუთვნილი იქნება TS-1 საწვავისათვის, ხოლო, N3 რეზერვუარი განკუთვნილი იქნება JET A-1 საწვავისათვის.

ზემოაღნიშნული რეზერვუარები შიგნიდანაც და გარედანაც დამუშავდება და შეიღებება სპეციალური, ანტიკოროზიული, საწვავმდეგი საღებავით. N1 და N2 რეზერვუარები აღჭურვილი იქნება რეზერვუარზე ასასვლელი ფოლადის კიბით. ამასთან თითოეული რეზერვუარი აღიჭურვება ქარხნული წარმოების სასუნთქი სარქველით.

საპროექტო ტერიტორიაზე დაგეგმილი ინფრასტრუქტურიდან და რეზერვუარების მედეგობიდან გამომდინარე ავარიული დაღვრების რისკები მინიმუმამდე იქნება დაყვანილი. თუმცა, რეზერვუარების გარშემო გათვალისწინებულია 1 მ სიმაღლის მქონე ბეტონის შემოზვინვის მოწყობა, რომელიც აღჭურვილი იქნება შემოზვინვაზე გადასასვლელი ფოლადის 2 სხვადასხვა კიბით.

ბეტონის შემოზინვის შიგნით, სარეზერვუარო პარკის საერთო ფართობი შეადგენს 370 მ<sup>2</sup>-ს, რომელიც ერთდროულად ორი 150 მ<sup>3</sup> მოცულობის მქონე რეზერვუარის ავარიული დაღვრის შემთხვევაშიც კი უზრუნველყოფს დაღვრილი ნავთობის დაჭერას.

ამასთან აღნიშნული შემოზინვა უზრუნველყოფს როგორც სანიაღვრე, ასევე რეზერვუარების რეცხვისას წარმოქმნილი საწარმოო წყლების შეკრებას.

რეზერვუარების განთავსების GPS კოორდინატები მოცემულია ცხრილში N 3.1.

**ცხრილი N 3.1 – რეზერვუარების განთავსების GPS კოორდინატები**

რეზერვუარის N	X	Y
რეზერვუარი N1	716883.9608	4609744.357
რეზერვუარი N2	716893.4667	4609745.411
რეზერვუარი N3	716889.3444	4609739.141

ობიექტის სარეზერვუარო პარკი მოწყობილი იქნება საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის #65 დადგენილებით დამტკიცებული „ნავთობის ბაზების უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად, ჯგუფების მიხედვით.

ამას გარდა, ნავთობის ბაზის თანამშრომლები დაიცავენ ზემოაღნიშნული რეგლამენტის და საწარმოო ინსტრუქციების მოთხოვნებს კომპეტენციების შესაბამისად.

ნავთობის ბაზის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს რეგლამენტის და ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტების მოთხოვნათა დაცვას.

ობიექტზე დასაქმებული პერსონალი სამუშაოზე დაშვებამდე გაივლის უსაფრთხოებასთან და გარემოსდაცვასთან დაკავშირებულ ინსტრუქტაჟს და შესაბამის სწავლებას.

ნავთობის ბაზის ტერიტორიის ნორმალური ექსპლუატაციის უზრუნველსაყოფად მუდმივად გამართულ მდგომარეობაში იქნება წყალარინების სისტემები, სახანძრო ჰიდრანტთან მისასვლელელები, წყლის რეზერვუარები, ხანძარქრობის სისტემები. როგორც უკვე აღინიშნა, სარეზერვუარო პარკის ტერიტორია იქნება შემოზინული ბეტონის კედლით, ხოლო საპროექტო ტერიტორიის სრული პერიმეტრი შემოიდობება.

ამასთან ობიექტის ტერიტორია აღჭურვილია ამკრძალავი, მაფრთხილებელი და მაჩვენებელი ნიშნებით.



### 3.2 საწვავის მიმღებ-გამცემი ბაქანი შესაბამისი ტუმბოებით

როგორც უკვე აღინიშნა, საპროექტო ტერიტორიაზე, ნავთობპროდუქტების მიღება გაცემა იწარმოებს საწვავის მიღება-გაცემის ბაქანზე, რომელიც აღჭურვილი იქნება 2 ტუმბოთი. თითოეული ტუმბოს წარმადობა იქნება 70 მ<sup>3</sup>/სთ. საწვავის გაცემის დროს აღნიშნული ტუმბოების დატვირთვა ერთდროულად არ მოხდება. ხოლო, საწვავის მიღების დროს გამოყენებული იქნება მხოლოდ ერთი 57 მ<sup>3</sup>/სთ წარმადობის მქონე ტუმბო, რომელიც წარმოადგენს ავტოცისტერნის ტუმბოს და განთავსებულია ავტოცისტერნაზე.

### 3.3 ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული წყლების გამწმენდი ნაგებობა

საპროექტო ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების, შემთხვევით დაღვრილი ნავთობპროდუქტებიანი წყლებისა და ასევე საჭიროების შემთხვევაში ხანძარსაწინააღმდეგო წყლების გაწმენდის მიზნით, საპროექტო ტერიტორიაზე გათვალისწინებულია ნავთობპროდუქტებიანი ჩამდინარე წყლების გამწმენდი დანადგარის მოწყობა. პროექტით გათვალისწინებულია უკრაინული წარმოების ФСН-3 სეპარატორის ტიპის გამწმენდი დანადგარის მონტაჟი, რომლის საპროექტო წარმადობაა 3 ლ/წმ და გათვალისწინებულია 750-950 კგ/მ<sup>3</sup> სიმკვრივის ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული წყლების გაწმენდისათვის. დანადგარის პარამეტრებია: სიგრძე - 1660 მმ; სიგანე - 960 მმ, სიმაღლე - 1120 მმ. თუმცა რეგიონში არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, შესაძლებელია განთავსდეს სხვა მწარმოებლის გამწმენდი ნაგებობა ანალოგიური წარმადობის და ტექნიკური მონაცემებით. გამწმენდი ნაგებობის განთავსების GPS კოორდინატები შემდეგია:

N	X	Y
1	716873.7545	4609769.458
2	716875.506	4609771.644
3	716876.8324	4609770.584
4	716875.0809	4609768.398

აღნიშნული გამწმენდი ნაგებობა წარმოადგენს ორ კამერიან დანადგარს, რომელიც განკუთვნილია ნავთობპროდუქტებიანი წყლების გასაწმენდად და ძირითადად განკუთვნილია ისეთი ობიექტებისთვის, როგორცაა: საწვავსამართი სადგურები, ნავთობპროდუქტების საცავები, ავტოსამრეცხაოები, ავტოტექნომოსახურების ცენტრები და მსგავსი ტიპის ობიექტები.


გამწმენდი დანადგარში ნავთობით დაბინძურებული წყლების გაწმენდა მიმდინარეობს ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე, პირველ კამერაში მოხდება შედარებით დიდი ზომის მყარი ნაწილაკების გამოყოფა წყლიდან გრავიტაციის მეთოდით. ხოლო, მეორე ეტაპზე წყალი გადადის კოალესცენტურ ფილტრში, სადაც ხდება მცირე ნაწილაკების გამოცალკეება. მეორე კამერაში ნავთობპროდუქტები გროვდება ზევით, ხოლო ნავთობპროდუქტებისგან გამოცალკეებული წყლის ჩაშვება მოხდება საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ არსებულ ქალაქის სანიაღვრე ქსელში, სანიაღვრე ქსელის

მეპატრონესთან გაფორმებული შესაბამისი შეთანხმებით. გაწმენდის შედეგად გამწმენდ დანადგარში დაეჩენილი ნავთობიანი მასის მართვა მოხდება სახიფათო ნარჩენების მართვისთვის დადგენილი პირობების შესაბამისად და მისი გადაცემა მოხდება შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიისთვის.

ჩამდინარე წყლების გამწმენდი დანადგარიდან გამოსული წყალი პოლიეთილენის მილებით დაერთდება სანიაღვრე ქსელზე. სანიაღვრე ქსელში წყალჩაშვების GPS კოორდინატებია:

N	X	Y
1	716876.5168	4609774.681

გამწმენდი დანადგარის სქემა მოცემულია სურათზე N3.3.1, ხოლო გამწმენდი დანადგარის რენდერი მოცემულია სურათზე N3.3.2



სურ. N3.3.1 - გამწმენდი დანადგარის სქემატური ნახაზი



სურ. N3.3.2 - გამწმენდი დანადგარის რენდერი

### 3.4 საწვავის მიღება-გამცემა მილგაყვანილობა რკინაბეტონის მიწისქვეშა ვარცლში

როგორც უკვე აღინიშნა, საპროექტო ტერიტორიაზე დაგეგმილია საწვავის მიღება-გამცემის ბაქანის მოწყობა შესაბამისი ტუმბოებით. ბაქანზე მიღებული საწვავის მიწოდება რეზერვუარებზე ასევე, რეზერვუარებიდან საწვავის გაცემა მოხდება მიწისქვეშა მილგაყვანილობის საშუალებით, რომლის ზედაპირიც მობეტონებული იქნება. მილგაყვანილობა მოწყობილი იქნება ფოლადის მილებით და სულ განთავსებული იქნება ოთხი ხაზი, აქედან TS1 საწვავის მიღება-გამცემისთვის და JET A1 საწვავის მიღება-გამცემისთვის.


### 3.5 ხანძარსაწინააღმდეგო წყლებისთვის განკუთვნილი რეზერვუარები და ხანძარსაწინააღმდეგო ქაფგამანაწილებელი კვანძი

როგორც უკვე აღინიშნა, საპროექტო ტერიტორიაზე გათვალისწინებულია ოთხი ერთეული მიწისზედა ჰორიზონტალური ფოლადის რეზერვუარი (D=3.2 მ; L=11,2 მ), თითოეული 60 მ<sup>3</sup> მოცულობის, ჯამურად 240 მ<sup>3</sup> მოცულობის. რეზერვუარები, აღჭურვილი იქნება წყლის ტუმბოთი და როგორც უკვე აღინიშნა გამოყენებული იქნება ხანძარსაწინააღმდეგო წყლების სამარაგოდ. მისი წყლით შევსება მოხდება წყლის ავტოციტერნებით, ხოლო მას შემდეგ რაც მოეწყობა მიწისქვეშა წყლის ჭაბურღილი (განთავსების სავარაუდო GPS კოორდინატები: X - 716891.00; Y - 4609717.00) და აღებული იქნება შესაბამისი სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოდან, რეზერვუარების წყლით შევსება მოხდება ჭაბურღილიდან. წყლის სამარაგო რეზერვუარების განთავსების GPS კოორდინატები იქნება:



N	X	Y
1	716826.9434	4609796.156
2	716836.6315	4609808.254
3	716845.7163	4609800.971
4	716836.0275	4609788.883

წყლის სამარაგო მიწისქვეშა რეზერვუარის სქემატური ნახაზი მოცემულია სურათზე N3.5



სურ. N3.5 - ხანძარსაწინააღმდეგო მიზნებისთვის, მიწისქვეშა სამარაგო რეზერვუარის სქემა

საპროექტო ტერიტორიაზე ასევე გათვალისწინებულია ხანძარსაწინააღმდეგო ქაფგამანაწილებელი კვანძის მოწყობა, რომელიც განთავსდება ფარდულის ტიპის ნაგებობაში და მოიცავს 2 ცალ წყლის ტუმბოს წარმადობით 120-150 მ<sup>3</sup>/სთ (ძირითადი და სათადარიგო). ასევე, ქაფგამანაწილებელი კვანძის შემადგენლობაში შევა 2 ცალი 25 მ<sup>3</sup>/სთ წარმადობის მქონე ტუმბო ქაფწარმომქმნელი სითხისათვის (ძირითადი და სათადარიგო) და ქაფწარმომქმნელი სითხის 2 ცალი რეზერვუარი, თითოეული 0,15 მ<sup>3</sup> მოცულობით.

გარდა ამისა, ობიექტის ტერიტორიაზე მოეწყობა სახანძრო სტენდები, სახანძრო კარალები და ჰიდრანტი. აღნიშნული ინფრასტრუქტურის განლაგება დატანილია გენ. გეგმაზე

### 3.6 ნარჩენების განთავსების უბანი

საპროექტო ტერიტორიაზე გათვალისწინებულია ნარჩენების განთავსების უბნის მოწყობა, რომელიც წარმოდგენილი იქნება ფარდულის ტიპის ნაგებობით, მობეტონებული ძირით და შესაბამისი გადახურვით. ნარჩენების უბანზე მოხდება ნარჩენების სეპარირებული შეგროვება, რისთვისაც განთავსებული იქნება შესაბამისი ჰერმეტიკული კონტეინერები, სხვადასხვა სახის ნარჩენებისთვის. კონტეინერები იქნება მარკირებული ნარჩენის კოდის და დასახელების მითითებით.

### 4. ნავთობპროდუქტების საცავის წარმადობა

ბათუმის ნავთობბაზა მოემსახურება ბათუმის საერთაშორისო აეროპორტში ოპერირებად საავიაციო კომპანიებს და უზრუნველყოფს ავიალანერების გასამართად საავიაციო საწვავის მიწოდებას. ნავთობბაზის ტერიტორიაზე საავიაციო საწვავის შემოტანა განხორციელდება სატვირთო ცისტერნების მეშვეობით ყოველდღიურად. საწვავი შემოტანილი იქნება შპს „პეტროკას ფუელ სერვის ჯორჯია“-ს სამტრედიის ნავთობბაზიდან. ნავთობპროდუქტების საცავის დაგეგმილი მაქსიმალური წლიური ტვირთბრუნვა იქნება 17 300 ტონა.

სატვირთო ცისტერნების მოცულობიდან გამომდინარე (30 ტ) დღის განმავლობაში ზამთრის პერიოდში გათვალისწინებულია 1 სატრანსპორტო რეისის შესრულება, ხოლო ზაფხულის პერიოდში 2 სატრანსპორტო რეისის შესრულება.

### 5. ტექნოლოგიური პროცესის აღწერა, საწვავის მიღების და გაცემის პროცედურა

#### 5.1 საწვავის მიღების ტექნოლოგიური პროცესის აღწერა

შპს „პეტროკას ფუელ სერვისიზ ჯორჯიას“ ბათუმის ნავთობპროდუქტების ტერმინალზე შესაძლებელი იქნება ორი, TS 1 და JET A-1 ტიპის საავიაციო საწვავის მიღება, ვინაიდან აღნიშნულ ტერმინალში იარსებებს ორი განცალკევებული ხაზი, როგორც საწვავის მიღებისთვის, ასევე შენახვისა და გაცემისთვის, შესაბამისად, არ არსებობს საწვავების შერევის რისკი.

აღსანიშნავია, რომ კომპანიას მიღებული აქვს საწვავის მიღების და გაცემის ტექნოლოგიური პროცესის პროცედურა. აღნიშნული პროცედურის შესაბამისად მოხდება ნავთობპროდუქტების საცავის ტერიტორიაზე საწვავის მიღება-გაცემა.

კომპანიის პროცედურის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიაზე საწვავის შემოტანა განხორციელდება შესაბამისი ავტოცისტერნებით. ტერმინალში შემოსვლის შემდეგ მოხდება საწვავში (ბრიჯერი) შესაბამისი დამღების მთლიანობის შემოწმება. დამღების მთლიანობის დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ მოხდება ხელმძღვანელობისათვის შეტყობინება. იმ შემთხვევაში თუ კი დამღები მთელია, მოხდება ცისტერნების დაყოვნება, რათა მოხდეს საწვავის “დაჯდომა”. საწვავის დაჯდომის პროცესში მოწმდება შესაბამისი საბუთები. რათა

არ მოხდეს უხარისხო ან სხვა მარკის საწვავის მიღება. ამისათვის უნდა შემოწმდეს დოკუმენტაცია, ყველა მონაცემი სწორი უნდა იყოს, განსაკუთრებით საწვავის ტიპი, კონსამენტი/მიწოდების ბილეთის ნომერი, პარტიის ნომერი. ჩამოთვლილი დანიშნულების ადგილები სწორი უნდა იყოს, ასევე რაოდენობა და გამოშვების სერტიფიკატი.

#### **გამოშვების სერტიფიკატი უნდა მოიცავდეს შემდეგ მინიმალურ ინფორმაციას:**

- დატვირთვის თარიღსა და დროს;
- საწვავის მარკას;
- პარტიის ნომერს და პროდუქტის სიმკვრივეს ( $15^{\circ}\text{C}-20^{\circ}\text{C}$ ) ცისტერნაში, რომლიდანაც ის მოდის;
- სერტიფიკატს, რომ პროდუქტი არ შეიცავს წყალს;
- საჭიროებისამებრ, შეიძლება აღინიშნოს პროდუქტის სიმკვრივე და ტემპერატურა დატვირთვის შემდეგ;
- უნდა იყოს დათარიღებული და ხელმოწერილია უფლებამოსილი ხელისმომწერის მიერ.

ნავთობბაზის ტერიტორიაზე შემოტანილი საწვავი შემოწმდება ადგილზე იმის დასადგენად, რომ საწვავი არის სუფთა და არ შეიცავს წყალს და მექანიკურ მინარევებს. აღნიშნულის დასადასტურებლად მოხდება სინჯის აღება.

- საწვავში წყლის შემცველობის დასადგენად მისი შემოწმება მოხდება სპეციალური "SHELL WATER DETECTOR"-ის საშუალებით;
- საწვავის ვიზუალური შემოწმება მოხდება მექ. მინარევებსა და ფერზე;

იმ შემთხვევაში თუ კი ყველა პარამეტრი აკმაყოფილებს მოთხოვნებს დაიწყება საწვავის დაცლის პროცედურა. დაცლა მოხდება შესაბამის რეზერვუარში, აუცილებლად ეს რეზერვუარი ამ ეტაპზე არ უნდა იყოს გამცემი რეზერვუარი.

საწვავის დაცლისას ოპერაციების თანმიმდევრობა შემდეგია:

- თუ საჭიროა მანქანის შლანგის გამოყენება, ის სუფთა უნდა იყოს, შემამჭიდროებლები კი ადგილზე და კარგ მდგომარეობაში.
- უნდა მოხდეს საწვავის სახეობის შესაბამისად, მიმღები პუნქტის შერჩევა;
- შემდეგ მოხდეს შესაბამისი რეზერვუარის შემსვლელი სარქველის გახსნა;
- მანქანის პოზიციონირება და იმგვარად დაყენება, რომ თავიდან იქნეს აცილებული გამმართველი შლანგის მოკეცვა ან პირიქით დაჭიმვა;
- დამიწების შეერთება, პოტენციალის გათანაბრების მიზნით;
- საწვამზიდზე შესაბამისი სარქველის გახსნა და გამმართველი ბუნიკის მიერთება;
- მრიცხველის მაჩვენებლის განულება

აღნიშნული ოპერაციების შემდეგ დაიწყება დაცლის პროცესი. საწვავის დაცლის დროს არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს პროცესის უმეთვალყურეოდ მიტოვება. უკიდურეს შემთხვევაში უნდა გადაბარდეს აღნიშნული ფუნქცია, სხვა შესაბამისი ცოდნის მქონე პერსონალს, და ასევე დეტალურად უნდა მოხდეს სხვა ტექნიკოსისთვის ახსნა ასაღები საწვავის ოდენობაზე. თუ მსგავსი პერსონალი ვერ მოიძებნა, უნდა მოხდეს პროცესის დროებით გაჩერება.

საწვავის მიღების პროცესის დასრულების შემდეგ ოპერაციების თანმიმდევრობა ხდება უკუ სვლით. პირველ რიგში იხსნება ბუნიკი, იკეტება და ეფარება სარქველებს მტვრისაგან დამცავი ხუფი, ბუნიკი თავსდება შესაბამის ადგილას და ბოლოს ხდება დამიწების განცალკევება.

საწვავის მიღებისას დიდი ყურადღება მიექცევა სახანძრო უსაფრთხოების საკითხებს, რისთვისაც თვალსაჩინო ადგილას უნდა იყოს ცეცხლმაქრები, ასევე ზედმეტი პერსონალი არ უნდა იმყოფებოდეს ავტოცისტერნებთან და ასევე გაფრთხილებული უნდა იყოს ტერმინალის შესაბამისი სამსახურები, რომ მიმდინარეობს საწვავის მიღების პროცესი. საწვავის მიღების დროს დაცული იქნება უსაფრთხოების ზომები (აღნიშნულ საქმიანობას აწარმოებს შესაბამისად შერჩეული და დაკვალიფიცირებული პერსონალი, შესაბამის ეკიპირებაში).

საწვავის მიღების დროს, ასევე დიდი ყურადღება მიექცევა გარემოს დაცვას საკითხებს, რომელიც ითვალისწინებს ყველა შეერთების გულდასმით შემოწმებას, რათა თავიდან იქნეს აცილებული საწვავის დაღვრა და შესაბამისად გარემოს დაბინძურების რისკები.

საწვავის მიღების შემდგომ, მოხდება საწვავის დაყოვნება მინიმუმ 3 საათს. დაყოვნების შემდეგ შესაძლებელი იქნება საწვავის გაცემა რეზერვუარებიდან.

## 5.2 საწვავის გაცემის ტექნოლოგიური პროცესის აღწერა

ნავთობპროდუქტების რეზერვუარებიდან საწვავის მისაწოდებლად გაშვება მოხდება მას შემდეგ როდესაც ცაითვლება რომ პროდუქტი უკვე დამდგარია და მისი გაშვება მიზანშეწონილია.

ნავთობპროდუქტების რეზერვუარებიდან პროდუქტის ცარიელ ცისტერნაში მილსადენით გადაცემის პროცესი უნდა განახორციელოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე თანამშრომელმა(იმ შემთხვევაში თუ კი პროცედურაში მონაწილეობს ახალი, გამოუცდელი თანამშრომელი, პროცესს ხელმძღვანელობს გამოცდილი, კომპეტენტური თანამშრომელი და ზედამხედველობს ბაზის უფროსი) დატვირთვის პროცედურის დაწყებამდე, ტექნიკოსმა ბაზის უფროსთან ან ტექ. სამსახურის და საავიაციო საწვავის მონიტორინგის უფროსთან (რომელსაც ყოველი ცვლის დაწყების წინ უნდა ჰქონდეს მიღებული ინფორმაცია გამცემი რეზერვუარების თაობაზე და ოდენობებზე) უნდა დააზუსტოს: საწვავის სახეობა, გასაცემი საწვავის ოდენობა, გამცემი რეზერვუარი.

აღნიშნულ ინფორმაციას ბაზის უფროსი და/ან ტექ.სამსახრის და საავიაციო საწვავის მონიტორინგის უფროსი თავის მხრივ გასცემს მას შემდეგ, რაც დეტალურად გაეცნობა და გაანალიზებს ცვლის პერიოდში არსებულ ჩასხმებსა და ცვლის პერიოდში შესასრულებელ სამუშაოებს.

ინფორმაციის მიღებისა და გაანალიზების შემდეგ იწყება შემდეგი პროცედურების განხორციელება:

- საწვავის სახეობის შესაბამისად, გამცემი პუნქტის შერჩევა;
- შესაბამისი რეზერვუარის გამომსვლელი სარქველის გახსნა;
- მანქანის პოზიციონირება და იმგვარად დაყენება, რომ თავიდან იქნეს აცილებული გამმართველი შლანგის მოკეცვა ან პირიქით დაჭიმვა;
- დამიწების შეერთება, პოტენციალის გათანაბრების მიზნით;
- შესაბამისი სარქველის გახსნა და გამმართველი ბუნიკის მიერთება. (მიერთების შემდეგ უნდა დარწმუნდეს რომ ბუნიკი ჩაკეტილია, თუ კი ბუნიკს გააჩნია ჩამკეტი);
- მრიცხველის მაჩვენებლის განულება;
- გამართვის ოპერაციის დაწყებამდე უნდა დარწმუნდეს რომ მანქანის რეზერვუარის ყველა სარქველი დაკეტილია.
- ამ ოპერაციების შემდეგ იწყება ჩასხმის პროცესი.

თუ კი ცისტერნა არაა აღჭურვილი გადავსების საწინააღმდეგო სისტემით, ან ეს სისტემა გამოსულია მწყობრიდან, ამ შემთხვევაში მეორე პერსონალი აუცილებლად უნდა იყოს ასული ცისტერნაზე ვიზუალური დაკვირვებისთვის, რათა არ მოხდეს საწვავის დაღვრა. ეს წესი მოქმედებს ყველა შემთხვევაში გარდა იმისა თუ პერსონალი ვიზუალურად დარწმუნდა, რომ გასამართი რეზერვუარი ცარიელია და მისთვის დანამდვილებით ცნობილია მისი ტევადობა.

საწვავის ჩასხმის დროს არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს პროცესის უმეტესალყურეოდ მიტოვება. უკიდურეს შემთხვევაში უნდა გადაბარდეს აღნიშნული ფუნქცია, სხვა შესაბამისი ცოდნის მქონე პერსონალს, და ასევე დეტალურად უნდა მოხდეს სხვა ტექნიკოსისთვის ახსნა ასაღები საწვავის ოდენობაზე. თუ მსგავსი პერსონალი ვერ მოიძებნა, უნდა მოხდეს პროცესის დროებით გაჩერება და ამის შესახებ ხელმძღვანელობის ინფორმირება, მიზეზის მითითებით.

პროცესის დასრულების შემდეგ ოპერაციების თანმიმდევრობა ხდება უკუ სვლით. პირველ რიგში იხსნება ბუნიკი, იკეტება და ეფარება სარქველებს მტვრისაგან დამცავი ხუფი, ბუნიკი თავსედება შესაბამის ადგილას და ბოლოს ხდება დამიწების განცალკევება.

საწვავით შევსების შემდეგ, ხდება საწვავგამმართველის დაყოვნება 10-15 წუთი. ამის შემდეგ ხდება რეზერვუარის დაბალი წერტილიდან საწვავის ჩამოსხმა-დრენირება, 10-12 ლიტრის ოდენობით და მისი შემოწმება წყალზე და მექ. მინარევებზე.

## 6. ობიექტის სამუშაო გრაფიკი და დასაქმებულების რაოდენობა

ბათუმის ნავთობბაზის სამშენებლო სამუშაოები დაიწყება შესაბამისი ნებართვების/გადაწყვეტილებების მიღების შემდეგ და დაახლოებით გასტანს 3-4 თვე. მშენებლობის პროცესში დასაქმებული იქნება დაახლოებით 15 ადამიანი. ხოლო რაც შეეხება ექსპლუატაციის პროცესს ბათუმის აეროპორტის ნავთობბაზა იმუშავებს უწყვეტ რეჟიმში, წელიწადში 365 დღე, 24 საათიანი (3 ცვლა) სამუშაო გრაფიკით და დასაქმებული იქნება 4-5 ადამიანი.

## 7. საპროექტო ტერიტორიასთან მისასვლელი გზები

ქ. ბათუმის აეროპორტამდე მიდის ასფალტირებული გზა, ხოლო რაც შეეხება უშუალოდ საპროექტო ტერიტორიასთან მისასვლელად გამოყენებული იქნება გიორგი ანწუხელიძის ქუჩა, რომელიც საპროექტო ტერიტორიას უკავშირდება გრუნტის გზით. მისასვლელი გზები არ საჭიროებს სარემონტო სამუშაოების განხორციელებას (იხ. სურ. N2.1.1; 2.1.3).

## 8. წყალმომარაგების და ჩამდინარე წყლების მართვის საკითხები

### 8.1 ობიექტის წყალმომარაგება მშენებლობის და ექსპლუატაციის დროს

შპს „პეტროკას ფიუელ სერვისის ჯორჯია“-ს ბათუმის ნავთობბაზის ტერიტორიაზე მშენებლობის პროცესში გათვალისწინებულია სასმელ-სამეურნეო წყლების გამოყენება. ხოლო ექსპლუატაციის პროცესში სასმელ-სამეურნეო და ხანძარსაწინააღმდეგო წყლების გამოყენება.

როგორც მშენებლობის, ისე ექსპლუატაციის ეტაპზე სასმელი წყლის შემოტანა განხორციელდება ბუტილირებული სახით. მშენებლობის ეტაპზე სამეურნეო წყალი ასევე შემოტანილი იქნება ცისტერნებით. ხოლო, ექსპლუატაციის ეტაპზე სამეურნეო და ასევე ხანძარსაწინააღმდეგო მიზნებისთვის წყლის შემოტანა განხორციელდება ავტოცისტერნების მეშვეობით და შემდგომში მიწისქვეშა ჭაბურღილიდან (სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის აღების შემდეგ). მიწისქვეშა წყლის ჭაბურღილი მოეწყობა ობიექტის ექსპლუატაციაში გაშვებამდე და აღებული იქნება შესაბამისი ლიცენზია სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოდან.

სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებული წყლის რაოდენობა დამოკიდებულია დასაქმებული პერსონალის რაოდენობაზე და საწარმოს მუშაობის რეჟიმზე. საწარმოში მშენებლობის დროს დასაქმებული იქნება დაახლოებით 15 ადამიანი, ხოლო სამუშაოები გასტანს დაახლოებით 3-4 თვე (90 დღე).

ვინაიდან ერთ მომუშავე პერსონაზე სასმელ-სამეურნეო მიზნებისათვის დღის განმავლობაში საჭირო წყლის რაოდენობად გათვალისწინებული 45 ლ, ანუ 0,045 მ<sup>3</sup> წყალი. დღის და სრულად მშენებლობის განმავლობაში საწარმოში სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებული წყლის ჯამური რაოდენობა იქნება:

**სასმელ - სამეურნეო წყალი მშენებლობისას:**

$$15 \text{ კაცი} \times 0,045 \text{ მ}^3/\text{დღ} = 0.675 \text{ მ}^3/\text{დღ}$$

$$0.675 \text{ მ}^3/\text{დღ} \times 90 \text{ დღ} = 60.75 \text{ მ}^3/90\text{დღ}$$

რაც შეეხება საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპს, როგორც უკვე აღინიშნა გათვალისწინებულია 4-5 ადამიანის დასაქმება. ვინაიდან ერთ მომუშავე პერსონაზე სასმელ-სამეურნეო მიზნებისათვის დღის განმავლობაში საჭირო წყლის რაოდენობად გათვალისწინებული 45 ლ, ანუ 0,045 მ<sup>3</sup> წყალი. დღის და წლის განმავლობაში საწარმოში სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებული წყლის ჯამური რაოდენობა იქნება:

#### **სასმელ - სამეურნეო წყალი ექსპლუატაციისას:**

$$5 \text{ კაცი} \times 0,045 \text{ მ}^3/\text{დღ} = 0.225 \text{ მ}^3/\text{დღ}$$

$$0.225 \text{ მ}^3/\text{დღ} \times 365 \text{ დღ} = 82.1 \text{ მ}^3/\text{წელ}$$

ამასთან, ობიექტის სპეციფიკიდან გამომდინარე, გათვალისწინებულია ხანძარსაწინააღმდეგო წყლების სამარაგო ოთხი ერთეული მიწისზედა ჰორიზონტალური რეზერვუარის მოწყობა, რომლის შესახებ ინფორმაცია მოცემულია წინამდებარე დოკუმენტის ინფრასტრუქტურის აღწერის ნაწილში. დაგეგმილი რეზერვუარების ჯამური მოცულობა შეადგენს 240 მ<sup>3</sup>-ს. მისი შევსება მოხდება საჭიროების შესაბამისად. თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ ობიექტი მოწყობილი იქნება კანონით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, ხანძარ საწინააღმდეგო შემთხვევების აღბათობა ფაქტიურად არ არსებობს. შესაბამისად, რეზერვუარის შევსების საჭიროებაც არ იქნება სისტემატური ხასიათის.

## **8.2 ჩამდინარე წყლების მართვის საკითხები მშენებლობის და ექსპლუატაციის დროს**

### **8.3 სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების მართვა**

საპროექტო ტერიტორიაზე, მშენებლობის პროცესში მოსალოდნელია სამეურნეო ჩამდინარე წყლების წარმოქმნა, რისთვისაც მოწყობილი იქნება სველი წერტილი, რომელიც დაერთებული იქნება არსებულ საკანალიზაციო ქსელზე, რომელიც გადის საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ. რაც შეეხება ობიექტის ექსპლუატაციის საკითხს, როგორც უკვე აღინიშნა, ტერიტორიაზე გათვალისწინებულია საოპერატორო ჯიხურის მოწყობა, სადაც ასევე განთავსდება სველი წერტილი, რომელიც ასევე ჩართული იქნება არსებულ საკანალიზაციო ქსელში.

### **8.4 სანიაღვრე წყლების მართვა**

გარდა სამეურნეო ფეკალური წყლებისა, ობიექტის ტერიტორიაზე მოსალოდნელია სანიაღვრე წყლების წარმოქმნა, როგორც სარეზერვუარო პარკის ტერიტორიაზე, შემოზვინვის შიგნით, ისე სარეზერვუარო პარკის გარე პერიმეტრზე. როგორც უკვე აღინიშნა, ტერიტორიის პერიმეტრზე გათვალისწინებულია სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ობიექტების მოწყობა, მათ შორის ავტოცისტერნებიდან/ავტოცისტერნებში საწვავის მიღება გაცემის ბაქანი, რომელიც მობეტონებული



იქნება, ხოლო ტერიტორიის გარკვეული ნაწილი, სადაც არ არის გათვალისწინებული რაიმე დამხმარე ნაგებობის განთავსება, მოეწყობა მწვანე გაზონი. შესაბამისად, გაზონის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნალექიანი ამინდის დროს წარმოქმნილი სანიაღვრე წყლები გაიჟონება გრუნტში, ხოლო მობეტონებულ ტერიტორიაზე და ასევე სარეზერვუარო პარკის შემოზვინვის შიგნით წარმოქმნილი წყალი ჩაშვებული იქნება ტერიტორიაზე მოწყობილ ჩამდინარე წყლების გამწმენდ დანადგარში. გამწმენდი დანადგარის გავლის შემდეგ, გაწმენდილი წყლების ჩაშვება მოხდება ქალაქის სანიაღვრე ქსელში, ქსელის მეპატრონესთან არსებული შეთანხმების შესაბამისად.

სანიაღვრე წყლების რაოდენობის გაანგარიშება ხდება ფორმულით:

$$Q=10 \times F \times H \times K$$

სადაც:

Q არის სანიაღვრე წყლების მოცულობა კუბ.მ/დღ.

F - საწარმოს ტერიტორიის ის ფართობი, სადაც მოხდება სანიაღვრე წყლების შეგროვება (ჰექტარში). მოცემული საწარმოსთვის ფართობი რომელზედაც მოსალოდნელია სანიაღვრე წყლების წარმოქმნა შეადგენს დაახლოებით 1 000 კვ.მ-ს ანუ, 0.1 ჰა-ს;

H - ნალექების რაოდენობა და მიღებულია სამშენებლო ნორმების და წესების „სამშენებლო კლიმატოლოგია“ (პნ 01.05-08) მიხედვით, კერძოდ: ბათუმის მონაცემების მიხედვით ნალექების მაქსიმალური რაოდენობა მიღებულია 2599 მმ/წელ. ნალექების დღე-ღამური მაქსიმუმი შეადგენს 231 მმ. წვიმის საათური მაქსიმუმი იქნება - 10 მმ.

K - კოეფიციენტი, რომელიც დამოკიდებულია საფარის ტიპზე და მოცემულ შემთხვევაში შეადგენს 0,09. აღნიშნულიდან გამომდინარე, საწარმოში წარმოქმნილი სანიაღვრე ჩამდინარე წყლების რაოდენობა იქნება:

$$Q_{წელ} = 10 \times 0,1 \times 2599 \times 0,09 = 233,91 \text{ კუბ.მ /წელ.}$$

$$Q_{დღ} = 10 \times 0,1 \times 231 \times 0,09 = 20,79 \text{ კუბ.მ /დღ.}$$

$$Q_{სთ} = 10 \times 0,1 \times 10 \times 0,09 = 0,9 \text{ კუბ.მ /სთ}$$

ობიექტის ტერიტორიაზე დაგეგმილი გამწმენდი დანადგარი სრულად უზრუნველყოფს აღნიშნული რაოდენობის სანიაღვრე წყლების გაწმენდას. ამასთან, ობიექტი აღჭურვილი იქნება სპეციალური ვაკუუმური მანქანის საშუალებით (პიტ ქლინერი), რომელიც საჭიროების შემთხვევაში გამოყენებული იქნება სარეზერვუარო პარკში დაგროვილი ნავთობიანი წყლის ამოსატუმბად, რომლის გაწმენდაც ასევე მოხდება გამწმენდ დანადგარში.

გამწმენდ დანადგარში დარჩენილი ნავთობიანი შლამები გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციას მათთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.

ამასთან, სარეზერვუარო პარკში ტექნოლოგიური მილგაყვანილობიდან შემთხვევით დაღვრილი ნავთობპროდუქტების მართვა ასევე განხორციელდება გამწმენდი დანადგარის მეშვეობით.

## 9. ნარჩენების მართვის საკითხები

ბათუმის ნავთობპროდუქტების საცავის როგორც მოწყობის, ისე ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია სხვადასხვა სახის ნარჩენების წარმოქმნა.

### მშენებლობის ეტაპი

მშენებლობის ეტაპზე მოსალოდნელია საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნა, რომელიც ძირითადად წარმოადგენს დასაქმებული პერსონალის კვების ნარჩენებს, ასევე სახიფათო ნარჩენების სახით შესაძლებელია წარმოიქმნას საღებავებიანი ტარა, საღებავებით და სხვადასხვა მასალებით დასვრილი ხელთათმანები, ჩვრები და სხვა. ბეტონის და მეტალის ნარჩენების წარმოქმნა მოსალოდნელი არ არის, ვინაიდან, ბეტონის შემოტანა მოხდება ქალაქში არსებული საწარმოებიდან შესაბამისი ბეტონმზიდი მანქანით იმ რაოდენობის რა რაოდენობაც საჭირო იქნება ობიექტის მშენებლობისთვის, ხოლო რეზერვუარების შემოტანა მოხდება მზა მდომარეობაში.

### ექსპლუატაციის ეტაპი

ობიექტის ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია სხვადასხვა სახის სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. არასახიფათო ნარჩენებიდან აღსანიშნავია ძირითადად საყოფაცხოვრებო ტიპის ნარჩენები, დასაქმებული პერსონალიდან, ხოლო სახიფათო ნარჩენების სახით მოსალოდნელია გამწმენდ დანადგარში წარმოქმნილი ნავთობპროდუქტებიანი შლამები, შემთხვევით დაღვრილი ნავთობპროდუქტები, ჩვრები, ხელთათმანები და სხვა.

დეტალური ინფორმაცია, როგორც მშენებლობის ისე ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ნარჩენების და მათი მართვის წესების შესახებ მოცემულია ნარჩენების მართვის გეგმაში.

### 9.1 ნარჩენების მართვის გეგმა

წინამდებარე ნარჩენების მართვის გეგმა ადგენს შპს „პეტროკას ფიუელ სერვისიზ ჯორჯიას“ მიერ ბათუმის ნავთობბაზის ფუნქციონირებისას შესაძლო ნარჩენების წარმოქმნის, შეგროვების, კლასიფიკაციის, მოპყრობის, გადაცემის პირობებს გარემოსდაცვითი ნორმებისა და წესების მოთხოვნების დაცვით.

ნარჩენების მართვის პროცესის ძირითადი ამოცანებია:

- ნარჩენების იდენტიფიკაციის უზრუნველყოფა;
- ნარჩენების სეპარირებული შეგროვების უზრუნველყოფა, მათი დროებითი განთავსებისათვის საჭირო პირობების დაცვა, რათა გამოირიცხოს ნარჩენების მავნე ზემოქმედება გარემოზე და ადამიანთა ჯანმრთელობაზე;

- ნარჩენების ტრანსპორტირების პირობების უზრუნველყოფა, რომლის დროსაც გამორიცხული უნდა იქნას ნარჩენების გაფანტვა, დაკარგვა, ავარიული სიტუაციების შექმნა, გარემოსა და ადამიანთა ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენება;
- აღდგენის დროს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის უვნებელი მეთოდების გამოყენება;
- ნარჩენების რაოდენობის შემცირება;
- ნარჩენების მეორადი გამოყენება;
- ნარჩენების მართვაზე პერსონალის პასუხისმგებლობის განსაზღვრა;
- ნარჩენების აღრიცხვის უზრუნველყოფა.

### ნარჩენების მართვის გეგმის სტრუქტურა

ნარჩენების მართვის გეგმა შედგება შესავალი, აღწერილობითი და დასკვნითი ნაწილებისაგან. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს #211 ბრძანებით დამტკიცებული „კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის განხილვისა და შეთანხმების წესის დამტკიცების შესახებ“ დებულების შესაბამისად ნარჩენების მართვის გეგმა მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

**შესავალი ნაწილი** - დაინტერესებული პირის შესახებ შემდეგი ინფორმაცია:

1. სრული სახელწოდება;
2. სამართლებრივი ფორმა;
3. იურიდიული მისამართი, მათ შორის, ფილიალის/წარმომადგენლობის მისამართი, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
4. რეგისტრაციის თარიღი;
5. საიდენტიფიკაციო ნომერი;
6. ხელმძღვანელის და გარემოსდაცვითი მმართველის სახელი, გვარი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, ტელეფონისა და ფაქსის ნომრები;
7. საქმიანობის დეტალური აღწერა.

**აღწერილობითი ნაწილი** - წლის განმავლობაში წარმოქმნილი თითოეული სახეობის ნარჩენების შესახებ შემდეგი ინფორმაცია:

1. ნარჩენის კოდი და დასახელება „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად;
2. ფიზიკური მდგომარეობა;

3. ნარჩენების რაოდენობა;
4. სახიფათო ნარჩენის შემთხვევაში - მისი განმსაზღვრელი მახასიათებელი, კოდექსის III დანართის შესაბამისად.

**დასკვნითი ნაწილი** - ნარჩენების მართვის შესახებ შემდეგი ინფორმაცია:

1. ნარჩენების პრევენციისა და აღდგენისთვის განსახორციელებელი ღონისძიებები;
2. წარმოქმნილი ნარჩენის შეგროვების და ტრანსპორტირების მეთოდები;
3. სეპარირების მეთოდის აღწერა, განსაკუთრებით - სახიფათო ნარჩენების სხვა ნარჩენებისგან განცალკევების შესახებ;
4. წარმოქმნილი ნარჩენების დროებითი შენახვის მეთოდები და პირობები;
5. ნარჩენების დამუშავებისთვის გამოყენებული მეთოდები, დამუშავების ოპერაციის კოდის მითითებით – კოდექსის I და II დანართების მიხედვით;
6. სახიფათო ნარჩენების უსაფრთხო მართვისათვის ზომებისა და მომუშავე პერსონალის შესაბამისი სწავლების ღონისძიებები;
7. იმ პირის შესახებ ინფორმაცია, რომელსაც გადაეცემა ნარჩენები შეგროვების, ტრანსპორტირების ან/და დამუშავების მიზნით, შესაბამისი ნებართვის ან/და რეგისტრაციის მონაცემების მითითებით.

**ინფორმაცია ნარჩენების წარმომქმნელის შესახებ**

<p><b>კომპანია</b> (დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი, რეგისტრაციის ნომერი, თარიღი)</p>	<p><b>შპს „პეტროკას ფიუელ სერვისიზ ჯორჯია“</b> ს/კ - 405 208 216 რეგისტრაციის თარიღი - 19/05/2017 06/5/ბ-110; 03/06/2005</p>
<p><b>წარმომადგენელი</b> (სახელი, პოზიცია, საკონტაქტო ინფორმაცია)</p>	<p>ივანე ევსია დირექტორი ტელ: 599 955 521</p> <p>ნიკოლოზ დოროკაშვილი გარემოსდაცვითი მმართველი ტელ: 577 087507; E-mail: <a href="mailto:n.dorokashvili@gulfaviation.ge">n.dorokashvili@gulfaviation.ge</a></p>
<p><b>იურიდიული მისამართი</b> (რეგიონი, მუნიციპალიტეტი, ქალაქი, ქუჩა, ტელეფონი ნომერი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა)</p>	<p>საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ი.ჭავჭავაძის გამზ., №34;</p>
<p><b>ნარჩენების წარმომქმნელის საქმიანობის აღწერა</b></p>	<p>კომპანიას ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საავიაციო საწვავის ტერმინალების მოწყობა, მისი მართვა, საავიაციო საწვავით სხვადასხვა აეროპორტების მომარაგება.</p>

**ნარჩენების წარმოქმნის წყაროების აღწერა და ნარჩენების დახასიათება მშენებლობის დროს**

მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების რაოდენობა დამოკიდებულია მომსახურე პერსონალის რაოდენობაზე. თუ გავითვალისწინებთ, რომ ერთ მომუშავეზე წლის განმავლობაში საშუალოდ გროვდება 0, 25მ<sup>3</sup> საყოფაცხოვრებო მყარი ნარჩენი, 15 კაციანი მომსახურე პერსონალის შემთხვევაში მივიღებთ:

$$15 \times 0,25 = 3.75\text{მ}^3/\text{წელ}$$

ვინაიდან სამშენებლო სამუშაოების ვადად განსაზღვრულია 3-4 თვე, მშენებლობის დროს წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენის რაოდენობა შეადგენს დაახლოებით 1.25მ<sup>3</sup>-ს (3.75/3=1,25). როგორც უკვე აღინიშნა, მშენებლობის ეტაპზე მოსალოდნელია სხვადასხვა სახის სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა, რომლის შესახებ ინფორმაცია მოცემულია ცხრილში.

**მშენებლობის ეტაპზე მოსალოდნელი ნარჩენების სახეები და აღწერილობა**

ობიექტზე წარმოქმნილი ნარჩენების ნუსხა						
N	ნარჩენის კოდი	ნარჩენის დასახელება	სახიფათო (ღიახ/არა)	სახიფათობის მახასიათებელი	ფიზიკური მდგომარეობა	მოსალოდნელი რაოდენობა მშენებლობის დროს
1.	15 02 02*	აბსორბენტები, ფილტრის მასალები (ზეთის ფილტრების ჩათვლით, რომელიც არ არის განხილული სხვა კატეგორიაში), საწმენდი ნაჭრები და დამცავი ტანსაცმელი, რომელიც დაბინძურებულია საშიში ქიმიური ნივთიერებებით	ღიახ	H 3-A	მყარი	20 კგ
2.	20 03 01	მუნიციპალური (საყოფაცხოვრებო) ნარჩენები	არა	-	მყარი	1.5 მ <sup>3</sup>
3.	15 01 10*	შესაფუთი მასალა, რომლებიც შეიცავს სახიფათო ნივთიერებების ნარჩენებს ან/და დაბინძურებულია სახიფათო ნივთიერებებით (საღებავიანი ტარა)	ღიახ	H 3-A	მყარი	70 კგ

### ნარჩენების წარმოქმნის წყაროების აღწერა და ნარჩენების დახასიათება ექსპლუატაციის დროს

ობიექტის ექსპლუატაციის დროს მოსალოდნელია როგორც სახიფათო ისე არასახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. არასახიფათო ნარჩენების სახით, მოსალოდნელია საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნა, რომელიც ძირითადად წარმოადგენს პერსონალის კვების ნარჩენებს, ხოლო სახიფათო ნარჩენების სახით მოსალოდნელია გამწმენდ დანადგარში წარმოქმნილი ნავთობპროდუქტებიანი შლამები, შემთხვევით დაღვრილი ნავთობპროდუქტები, ჩვრები, ხელთათმანები და ასევე რეზერვუარების რეცხვის დროს წარმოქმნილი ლექი (რეზერვუარების რეცხვა განხორციელდება 3-4 წელიწადში ერთხელ).

ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების რაოდენობა დამოკიდებულია მომსახურე პერსონალის რაოდენობაზე. თუ გავითვალისწინებთ, რომ ერთ მომუშავეზე წლის განმავლობაში საშუალოდ გროვდება 0, 25მ<sup>3</sup> საყოფაცხოვრებო მყარი ნარჩენი, 5 კაციანი მომსახურე პერსონალის შემთხვევაში მივიღებთ:

$$5 \times 0,25 = 1.25\text{მ}^3/\text{წელ}$$

როგორც უკვე აღინიშნა, ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია სხვადასხვა სახის სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა, რომლის შესახებ ინფორმაცია მოცემულია ცხრილში.

**ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ნარჩენების სახეები და აღწერილობა**

ობიექტზე წარმოქმნილი ნარჩენების ნუსხა						
N	ნარჩენის კოდი	ნარჩენის დასახელება	სახიფათო (დიახ/არა)	სახიფათობის მახასიათებელი	ფიზიკური მდგომარეობა	მოსალოდნელი რაოდენობა მშენებლობის დროს
4.	15 02 02*	აბსორბენტები, ფილტრის მასალები (ზეთის ფილტრების ჩათვლით, რომელიც არ არის განხილული სხვა კატეგორიაში), საწმენდი ნაჭრები და დამცავი ტანსაცმელი, რომელიც დაბინძურებულია საშიში ქიმიური ნივთიერებებით	დიახ	H 3-A	მყარი	30 კგ
5.	20 03 01	მუნიციპალური (საყოფაცხოვრებო) ნარჩენები	არა	-	მყარი	1.5 მ <sup>3</sup>
6.	05 01 03*	რეზერვუარის ძირში წარმოქმნილი ლექი	დიახ	H 3 B	თხევადი	500 კგ
7.	15 01 10*	შესაფუთი მასალა, რომლებიც შეიცავს სახიფათო ნივთიერებების ნარჩენებს ან/და დაბინძურებულია სახიფათო ნივთიერებებით	დიახ	H 3-A	მყარი	50 კგ
8.	16 07 08*	ნავთობის შემცველი ნარჩენები	დიახ	H 15 H 14	მყარი/თხევადი	50 კგ
9.	13 05 01*	ნავთობი, ზეთი/წყლის სებაარატორის (გამყოფი მოწყობილობის) მყარი ნარჩენები	დიახ	H 3-A	მყარი	100 კგ

**ნარჩენების დასაწყობება მშენებლობის და ექსპლუატაციის დროს**

მშენებლობის დროს წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება მოხდება საყოფაცხოვრებო ნარჩენებისთვის გათვალისწინებულ კონტეინერში, რომლის გატანაც მოხდება ქალაქის კომუნალური სამსახურის მიერ, ხოლო სახიფათო ნარჩენების განთავსებისთვის მოეყოლა დროებითი უბანი შესაბამისი გადახურვით, სადაც განტავსდება ჰერმეტიკული კონტეინერები სხვადასხვა სახის სახიფათო ნარჩენებისთვის. მშენებლობის დასრულების შემდეგ, აღნიშნული ნარჩენის გადაცემა მოხდება შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიისთვის.

რაც შეეხება ექსპლუატაციის პროცესს, როგორც უკვე აღინიშნა, ობიექტის ტერიტორიაზე გათვალისწინებულია ნარჩენების უბნის მოწყობა, შესაბამისი გადახურავით, კედლებით და ჰიდროიზოლირებული ბეტონის იატაკით, რომელიც შემოსაზღვრული იქნება 20 სმ სიმაღლის ბეტონის კედლით და უზრუნველყოფს დაღვრის შემთხვევაში სახიფათო ნარჩენების გარემოში მოხვედრას. სახიფათო ნარჩენების სექციაში გათვალისწინებულია სითხის შემკრები ორმოს მოწყობა, სადაც მოხდება დაღვრის შემთხვევაში სახიფათო თხევადი ნარჩენების ლოკალიზება.



ნარჩენების უბანი დაყოფილი იქნება სექციებად, თითოეული სექცია გათვალისწინებული იქნება თხევადი სახიფათო ნარჩენების, მყარი სახიფათო ნარჩენების და საყოფაცხოვრებო ნარჩენებისთვის. ამასთან, თითოეული სექცია აღჭურვილი იქნება შესაბამისი ჰერმეტიკული და მარკირებული სხვადასხვა ტევადობის კონტეინერებით.

### **ნარჩენების პრევენციისა და აღდგენისთვის განსახორციელებელი ღონისძიებები**

ნარჩენების წარმოქმნის პრევენციულ ზომას წარმოადგენს საწვავის დაღვრის შესაძლებლობის განეიტრალება და მინიმუმამდე შემცირება;

დაღვრის პრევენციული ზომებისათვის დაგეგმილია პროცედურა, რომლის შესრულებაც მუდმივად გაკონტროლდება:

- რეზერვუარების საწვავის შევსების დონე არ უნდა აღემატებოდეს მისი გეომეტრიული მოცულობის 95%-ს;
- რეზერვუარების შევსება მოხდება ჰერმეტიკულად;
- საწვავშიდების მიერ ნავთობპროდუქტებით დასვრილი ადგილები (არსებობის შემთხვევაში) უნდა გაიწმინდოს სპეციალური ჩვრით სიმშრალემდე და დასვრილი ჩვარი განთავსდეს ამისთვის სპეციალურად გამოყოფილ ურნაში;
- რეზერვუარების შევსება უნდა წარმოებდეს მეთვალყურეობის ქვეშ და განხორციელდეს ავტოცისტერნების და მილსადენის შეერთების მუდმივი მონიტორინგი;
- შეერთების ადგილზე უნდა განთავსდეს დაღვრის საწინააღმდეგო ნაპერწკალუსაფრთხო ჭურჭელი, წერტილოვანი ჟონვის არსებობის შემთხვევაში, ნავთობპროდუქტის ობიექტის ტერიტორიაზე მოხვედრისაგან დასაცავად;
- ნავთობპროდუქტების რეზერვუარების გარშემო მოეწყოს ბეტონის შემოზვინვა, რომელიც 150მ<sup>3</sup> მოცულობის მქონე რეზერვუარის ავარიული დაღვრის შემთხვევაშიც კი უზრუნველყოფს დაღვრილი ნავთობის დაჭერას;
- ობიექტის ტერიტორია, სადაც მოხვდებიან ავტოცისტერნები, უნდა იყოს მობეტონებული, რათა გამოირიცხოს საწვავის მიღება-გაცემის დროს შემთხვევითი დაღვრის შემთხვევაში ნიადაგის და გრუნტის დაბინძურება.

## წარმოქმნილი ნარჩენის შეგროვების და განთავსების მეთოდები

ობიექტებზე წარმოქმნილი ნარჩენების კონტეინერებში განთავსდება მოხდება ადგილობრივი მომსახურე პერსონალის მიერ, ხოლო გატანას უზრუნველყოფს ნარჩენების გადამზიდი, შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანია.

## სეპარირების მეთოდი

ნარჩენების სეპარაცია წარმოადგენს პრიორიტეტულ საკითხს ნარჩენების სტანდარტული მართვის განხორციელებისათვის.

ობიექტებზე განთავსდება სხვადასხვა მოცულობის კონტეინერები, რომელშიც განთავსდება ნარჩენები, ტიპების და სახეობების მიხედვით. ობიექტის სპეციფიკაციიდან გამომდინარე, წარმოიქმნება ნავთობით დაბინძურებული მყარი და თხევადი ნარჩენები, ნავთობით დაბინძურებული მასალები (აბსორბენტები, ნაჭრები და სხვა).

ნარჩენების სეპარირებული შეგროვების მიზნით, ნარჩენების უბანი დაყოფილი იქნება სექციებად, თითოეული სექცია გათვალისწინებული იქნება თხევადი სახიფათო ნარჩენების, მყარი სახიფათო ნარჩენების და საყოფაცხოვრებო ნარჩენებისთვის. ამასთან, თითოეული სექცია აღჭურვილი იქნება შესაბამისი ჰერმეტიკული და მარკირებული სხვადასხვა ტევადობის კონტეინერებით.

ობიექტის თანამშრომლებს ჩაუტარდათ ტრენინგი გარემოსდაცვითი მოთხოვნების და ნარჩენების მართვის საკითხების შესახებ, რომლის ჩანაწერებიც იქნება დოკუმენტირებული.

სწავლება-ტრენინგები ტარდება წელიწადში ორჯერ, ხოლო ინსტრუქტაჟის წარმოება საჭიროების მიხედვით.

## სახიფათო ნარჩენების უსაფრთხო მართვა და მომუშავე პერსონალის შესაბამისი სწავლების დონისძიებები

ობიექტის ყველა თანამშრომელი, რომელსაც ექნება რაიმე ტიპის შეხება სახიფათო ნარჩენებთან (მათ შორის მენეჯერი, ოპერატორები, ცვლის უფროსები, დამლაგებლები) გაივლის სპეციალურ მომზადებას შემდეგ გარემოსდაცვით საკითხებში:

- ნარჩენების დახასიათება, კლასიფიკაცია და მათი თვისებები;
- სათანადო სეგრეგაციის წესები და პროცედურა;
- ნარჩენებთან მოპყრობა (პირადი დაცვის საშუალებებით სარგებლობა);

ნარჩენებთან, განსაკუთრებით კი სახიფათო ნარჩენებთან მოპყრობის წესი, სპეციფიკური უნდა იყოს თითოეული სახის ნარჩენებთან მიმართებაში (მყარი, თხევადი). ობიექტზე ხელმისაწვდომი იქნება შესაბამისი გარემოსდაცვითი და ნარჩენებთან მოპყრობის ინსტრუქციები, მაგ: სახიფათო ნივთიერების აღწერა, მოპყრობის წესები, ინდივიდუალური დაცვის საშუალებები და ა.შ.

### **ნარჩენების გადაცემა და ტრანსპორტირება საბოლოო განთავსება-ადგენისათვის**

ნარჩენების გადაცემა მოხდება შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიისთვის. სათანადო წესით გაფორმდება "ნარჩენების გადაცემის ფორმა". ყოველ ცალკეულ შემთხვევაში შეივსება შემდეგი ინფორმაცია:

- გადაცემის ადგილი, თარიღი და დრო;
- ნარჩენების აღწერა, რაოდენობის მითითებით ( $m^3$ /ლიტრი /კგ);
- ინფორმაცია ნარჩენების გადამზიდის შესახებ;
- ინფორმაცია მიმღები პირების შესახებ;
- წარმომქმნელის, გადამზიდის და მიმღების წარმომადგენლის ხელმოწერა.

## 10. გარემოს არსებული მდგომარეობის აღწერა

### 10.1 კლიმატი და მეტეოროლოგიური პირობები

აჭარის რეგიონი კლიმატური პირობების მიხედვით მიეკუთვნება ნოტიო სუბტროპიკულს, ჭარბი ტენიანობითა და მაღალი თერმული ფონით. კლიმატის ჩამოყალიბებაში, სხვა ფაქტორებთან ერთად, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჰაერის მასების ცირკულაცია, კერძოდ ქარების რეჟიმის თავისებურებანი. აჭარის ზღვისპირა მხარეში წელიწადის უმეტესი დროის განმავლობაში გაბატონებულია დასავლეთის მიმართულების ნოტიო ქარები, მხოლოდ ზამთრის თვეებში ხმელეთიდან მიმართული ქარების განმეორებადობა იზრდება და ზოგიერთ რაიონში ჭარბობს კიდევ დასავლეთის ქარების სიხშირეს. ხეობებში გაბატონებულია აღმოსავლეთის ქარები. საერთო ჯამში, ზაფხულში ქარის მიმართულებაა ზღვიდან ხმელეთისაკენ, ზამთარში კი საწინააღმდეგო.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილებში ნაჩვენებია საკვლევი რაიონისთვის დამახასიათებელი კლიმატური და მეტეოროლოგიური პირობები (წყარო: სნწ „სამშენებლო კლიმატოლოგია“ (პნ 01. 05-08)).

#### ცხრილი N 10.1.1 - სამშენებლო-კლიმატური რაიონების მახასიათებლები

პუნქტის დასახელება	კლიმატური რაიონები	კლიმატური ქვერაიონები	იანვრის საშუალო ტემპერატურა, °C	ზამთრის 3 თვის ქარის საშუალო სიჩქარე, მ/წ	ივლისის საშუალო ტემპერატურა, °C	ივლისის ფარდობითი ტენიანობა, %
ბათუმის აეროპორტი	III	IIIბ	+2-დან +6-მდე	-	+22-დან +28-მდე	50 და მეტი 13ს

**ცხრილი N10.1.2 - ჰაერის ტემპერატურა**

№	პუნქტების დასახელება	გარე ჰაერის ტემპერატურა, 0 C																			პერიოდი <80C საშუალო თვიური ტემპერატურით		საშუალო ტემპერატურა 13 საათზე	
		თვის საშუალო												წლის საშუალო	აბსოლუტური მინიმუმი	აბსოლუტური მაქსიმუმი	ყველაზე ცხელი თვის საშუალო მაქსიმუმი	ყველაზე ცივი თვიური საშუალო	ყველაზე ცივი დღის საშუალო	ყველაზე ცივი პერიოდის საშუალო				
		იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი								ხანგრძლივობა	საშუალო ტემპერატურა	ყველაზე ცივი თვისათვის	ყველაზე ცხელი თვისათვის
1	ბათუმის აეროპორტი	6,9	6,8	8,7	11,7	15,8	19,5	22,1	22,6	19,8	16,5	12,4	8,8	14,3	-9	40	26,2	-1	-4	6,0	72	6,5	8,5	25,9

**ცხრილი N10.1.3 - ჰაერის ტემპერატურის ამპლიტუდა**

№	პუნქტების დასახელება	თვის საშუალო, 0 C												თვის მაქსიმალური, 0 C											
		იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
1	ბათუმის აეროპორტი	7,2	7,8	7,8	8,2	7,6	6,9	6,3	6,8	7,5	8,1	7,5	7,2	17,6	18,2	18,2	18,6	18,0	17,3	16,7	17,2	17,9	18,5	17,9	17,6

**ცხრილი N10.1.4 - ჰაერის ფარდობითი ტენიანობა**

N	პუნქტების დასახელება	გარე ჰაერის ფარდობითი ტენიანობა, %												საშ. ფარდ. ტენიანობა 13 საათზე		ფარდ. ტენიანობის საშ. დღეღამური ამპლიტუდა		
		იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	წლის საშუალო	ყველაზე ცივი თვის	ყველაზე ცხელი თვის	ყველაზე ცივი თვის	ყველაზე ცხელი თვის
1	ბათუმის აეროპორტი	67	71	75	77	79	78	80	81	82	78	70	64	75	62	74	9	12

**ცხრილი N10.1.5 - ნალექების რაოდენობა**

N	პუნქტების დასახელება	ნალექების რაოდენობა წელიწადში, მმ	ნალექების დღეღამური მაქსიმუმი, მმ
1	ბათუმის აეროპორტი	2572	238

**ცხრილი N10.1.6 - თოვლის საფარი**

N	პუნქტების დასახელება	თოვლის საფარის წონა, კპა	თოვლის საფარის დღეთა რიცხვი	თოვლის საფარის წყალშემცველობა, მმ
1	ბათუმის აეროპორტი	0,50	12	-

**ცხრილი N10.1.7 - ქარის მახასიათებლები**


N	პუნქტების დასახელება	ქარის უდიდესი სიჩქარე შესაძლებელი 1,5,10,15,20 წელიწადში ერთხელ, მ/წმ					ქარის მიმართულების განმეორებადობა (%) იანვარი, ივლისი								ქარის საშუალო, უდიდესი და უმცირესი სიჩქარე, მ/წმ		ქარის მიმართულებისა და შტილის განმეორებადობა (%) წელიწადში									
		1	5	10	15	20	ჩ	ჩა	ა	სა	ს	სდ	დ	ჩდ	იანვარი	ივლისი	ჩ	ჩა	ა	სა	ს	სდ	დ	ჩდ	შტილი	
1	ბათუმის აეროპორტი	23	27	28	29	30	2/1	1/0	2/2	73/50	2/3	14/20	4/16	2/8	9,0/3,6	5,6/2,2	4	1	3	54	2	20	11	5	19	

**ცხრილი N10.1.8 - გრუნტების სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე, სმ**

	პუნქტების დასახელება	თიხვანი და თიხნარი	წვრილი და მტკრისებრი ქვიშის ქვიშნარი	მსხვილი და საშ. სიმსხვილის ხრემისებური ქვიშის	მსხვილნატეხი
1	ბათუმის აეროპორტი	0	0	0	0

## 10.2 სეისმური პირობები

საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონების უახლესი სქემის მიხედვით საკვლევო ტერიტორია განთავსებულია 7 ბალიან სეისმურ ზონაში (პნ 01.01-09 სეიმომედეგი მშენებლობა), ხოლო ამგები გრუნტები სეისმური თვისებების მიხედვით განეკუთვნებიან II კატეგორიას. აქედან გამომდინარე, მშენებლობისათვის გამოყოფილი ტერიტორიის სეისმურობად მიღებულ იქნა 7 ბალი.



სურ. N10.2.1 - საქართველოს ტერიტორიის სეისმური საშიშროების რუკა

## 10.3 საპროექტო ტერიტორიის გეოლოგიური აგებულება

აჭარა-თრიალეთის ნაოჭა ზონა წარმოადგენს მკვეთრად გამობატულ სტრუქტურულ-მორფოლოგიურ ერთეულს, რომელიც განლაგებულია ამიერკავკასიის შუალედური მასივის ორ ბელტს შორის (საქართველოს ბელტსა და ართვინ ბოლნისის ბელტს შორის). აჭარა-თრიალეთის ჩრდილო საზღვარი გამობატულია ჩრდილოეთისკენ მიმართული შეცოცებების სისტემებით, რომლებიც წარმოადგენენ სიღრმული რღვევის (ტექტონიკური ნაკერის) ზედაპირული გამობატულებას. საზღვარი აართვინ-ბოლნისის ბელტს შორის ნაკლებად გამობატულია, ვინაიდან გადაფარულია ახალგაზრდა ლივური განფენებით. ყველაზე მძლავრი 5000 მ. მეტი სიძლიერის შუა ეოცენური ვულკანოგენური ფორმაცია აჭარის ტერიტორიაზე განლაგებული, რომლებიც რამოდენიმე წყებით არის წარმოდგენილი. აჭარას უკავია აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისიტემის უკიდურესი სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი და აგებულია ძირითადად პალეოგენური ვულკანოგენური წყებით. უფრო ძველი ქანები აჭარაში არ არის გაშიშვლებული. პოსტპალეოგენური ნალექები (პლიოცენ-პლეისტოცენური კონტინენტანურ-



ვულკანოგენური ქანები “გოდერძის წყება”) განვითარებული არიან რიონის უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. მეოთხეული ალუვიური ნალექების მნიშვნელოვანი რაოდენობა გვხდება მხოლოდ ჭოროხის ხეობაში და აჭარის სანაპირო უბნებში. აჭარის პალეოგენური ვულკანოგენურ-დანალექები წარმონაქმნები ლითოლოგიური და პეტროგრაფიულ-პეტროქიმიური ნიშნების მიხედვით იყოფა ხუთ წყებად, აქედან ყველაზე ქვედა, პერანგას წყება პირობითად პალეოგენურ-ქვედა ეოცენურ სართულს მიეკუთვნება, შემდეგი (ზემოთ) ორი წყება ნადვარების და ჭიდილას წყებები - შუა ეოცენურია, ადიგენის წყების ასაკი კი ზედა ეოცენურია.

### 10.3.1 საინჟინრო - გეოლოგიური კვლევების შედეგები

საპროექტო ტერიტორიაზე, შპს „ალფა“-ს მიერ ჩატარდა საინჟინრო-გეოლოგიური პირობების კვლევა. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შესწავლის მიზნით საკვლევ ტერიტორიაზე გაყვანილ იქნა 3 ჭაბურღილი, სიღრმით 3.0 მ. თითო. ბურღვა ჩატარდა მექანიკური სვეტური ბურღვის მეთოდით.

ჩატარებული სავლე კვლევების მონაცემების საფუძველზე შედგენილია სამშენებლო მოედნის გეოლოგიური ჭრილები. აღნიშნული ჭრილების მიხედვით, სამშენებლო უბანზე გამოიყოფა სამი ფენა:

ფენა 1 – ნიადაგის ფენა  $Q_v$ , გავრცელებულია მთელ ტერიტორიაზე მიწის ზედაპირიდან 0.50 მეტრის ფარგლებში.

ფენა 2 – თიხა ნახევრად მყარი კონსისტენციის  $P=2,10$  გ/სმ<sup>3</sup>;  $C=0,625$ ;  $\varphi=19^\circ$ ;  $E=236$  კგდ/სმ<sup>2</sup>;  $R_o=2,5$  კგდ/სმ<sup>2</sup>;

ფენა 3 - ქვიშა საშუალო ფრაქციის, კენჭოვან, ხრეშოვანი, ხვინჭოვანი მარცვლებით  $alQ_v - P=1,85$  გ/სმ<sup>3</sup>;  $\varphi=30,5^\circ$ ;  $R_o=3,3$  კგდ/სმ<sup>2</sup>.

ფენის ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლების მნიშვნელობები მიღებულია გამოკვლევების, საფონდო მასალების, ნორმატიული დოკუმენტების და საცნობარო ლიტერატურის გამოყენების საფუძველზე. გრუნტის წყალი გამონამუშევრებში გამოკვლეული სიღრმის ფარგლებში დაფიქსირდა მიწის ზედაპირიდან 1,60 მ სიღრმეზე (კვლევის ჩატარების დრო - 2021 წლის სექტემბერი).

### 10.3.2 წყლის სინჯის ქიმიური ანალიზის შედეგი

წყლის სინჯის ქიმიური ანალიზი ჩატარდა შპს წყალი და გრუნტი“-ს ლაბორატორიაში. საანალიზოდ აღებული წყლის ქიმიური შედგენილობა გამოისახება, როგორც ჰიდროკარბონატულ-სულფატური კალციუმიან-ნატრიუმიან-მაგნიუმიანი, ხოლო საერთო მინერალიზაციის მაჩვენებლით მიეკუთვნება მტკნარი წყლების კატეგორიას. საერთო სიხისტის მაჩვენებლით (6.65 მგ.ქვ/ლ) სინჯი მიეკუთვნება ზომიერად ხისტი წყლების კატეგორიას. სინჯი შეიცავს გამაჭუჭყიანებელ კომპონენტებს დასაშვების

ფარგლებში. აგრესიულობის თვალსაზრისით განსახილველი სინჯი არ არის აგრესიული. რკინა-ბეტონის კონსტრუქციაზე წყალი აგრესიულად არ ზემოქმედებს მუდმივად დასველების პირობებში და სუსტად აგრესიულია პერიოდულად დასველების პირობებში.

ცხრილი N10.3.2 - წყლის სინჯის ქიმიური ანალიზი

წყლის სინჯის ქიმიური ანალიზი						
სინჯის აღების ადგილი		ბათუმის აეროპორტის ტერიტორია (ს/კ 05.32.04.736)				
წყალპუნქტის ტიპი		ჭაბურღილი, სინჯის აღების სიღრმე - 1.60 მ		სინჯის აღების თარიღი	20.09.2021	
იონები	აბსოლუტური შემცველობა	მგ.ექვ./ლ	მგ.ექვ./ლ, %	სხვა მონაცემები		
1	2	3	4	5		
<b>კათიონები</b>				ფერი: გამჭვირვალე	სუნი: უსუნო	გემო: მტკნარი
(Na+K) <sup>+</sup>	0.057	2.482	27	წყალბად-იონების კონცენტრაცია PH:	6.65	
Ca <sup>2+</sup>	0.090	4.500	49	მზრალი ნაშთი:	0.48 გ/ლ	
Mg <sup>2+</sup>	0.026	2.150	24	საერთო სიხისტე:	6.65 მგ.ექვ./ლ;	
ჯამი	0.173	9.13	100	კარბონატული:	3.6 მგ.ექვ./ლ;	
<b>ანიონები</b>				მუდმივი:	3.05 მგ.ექვ./ლ;	
				თავისუფალი CO <sub>2</sub> :	არ აღმოჩნდა;	
Cl <sup>-</sup>	0.020	0.560	6	აგრესიული CO <sub>2</sub> :	არ აღმოჩნდა;	
SO <sub>4</sub> <sup>2-</sup>	0.066	1.372	15	ამონიუმი (NH <sub>4</sub> <sup>+</sup> ):	0.21 მგ/ლ	
HCO <sub>3</sub> <sup>-</sup>	0.439	7.200	79	ნიტრატი (NO <sub>3</sub> <sup>-</sup> ):	არ აღმოჩნდა;	
ჯამი	0.525	9.13	100	ნიტრიტი (NO <sub>2</sub> <sup>-</sup> ):	არ აღმოჩნდა;	
M გ/ლ	0.698	კურლოვის ფორმულა		$M_{0.70} \frac{HCO_3 79 SO_4 15}{Ca 49 (Na + K) 27 Mg 24}$		
ანალიზის შემსრულებელი:		მ. მარდაშოვა		თარიღი:	24.09.2021	

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის დროს შემუშავებული დასკვნების და რეკომენდაციების შესაბამისად:

- სამშენებლო უბნის გეოლოგიური აგებულებიდან და გეომორფოლოგიური პირობებიდან გამომდინარე, მშენებლობისათვის გამოყოფილი უბანი საინჟინრო-გეოლოგიური თვალსაზრისით იმყოფება დამაკმაყოფილებელ პირობებში, ვინაიდან უარყოფითი საინჟინრო-გეოლოგიური პროცესები მეწყერი, ჩაქვევები, კარსტები და სხვა არ შეიმჩნევა;
- საკვლევ უბანი, საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ს.ნ. და წ. 1.02.07-87 დანართი 10-ის თანახმად მიეკუთვნება I (მარტივ) კატეგორიას;
- საქართველოს სამშენებლო ნორმებისა და წესების „სეისმომედეგი მშენებლობა“ პნ 01.01.09-ს ცხრილის #-ის სეისმური საშიშროების რუკის დანართი 1-ის მიხედვით, სამშენებლო უბანი მიეკუთვნება 7 ბალიან ზონას, რადგან უბანზე გავრცელებული გრუნტები მიეკუთვნება II კატეგორიას. სამშენებლო უბანზე გავრცელებული გრუნტები დამუშავების სიძნელის მიხედვით ს.ნ. და წ. IV-2-82 I-ი ცხრილის მიხედვით მიეკუთვნება: ფენა 1– (რ#33გ); ფენა 2 – (რ#8ა); ფენა 3 – (რ#27ა);
- აგრესიულობის თვალსაზრისით განსახილველი სინჯი არ არის აგრესიული გარემო (იხ. თანდართული ცხრილი). რკინა-ბეტონის კონსტრუქციაზე წყალი აგრესიულად არ ზემოქმედებს მუდმივად დასველების პირობებში და სუსტად აგრესიულია პერიოდულად დასველების პირობებში.

#### 10.4 საპროექტო ტერიტორიის ბიოლოგიური გარემო

საპროექტო ტერიტორიის მცენარეული საფარის კვლევის მიზნით ტერიტორიის დათვალიერება მოხდა 2023 წლის 2 მარტს. საპროექტო ტერიტორიაზე მერქნიანი მცენარეები წარმოდგენილი არ არის. ტერიტორია დაფარულია სარეველა ბალახოვანი მცენარეებით, რომელიც მოიხსნება ნიადაგის ნაყოფიერ ფენასთან ერთად. ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მართვის საკითხი მოცემულია წინამდებარე დოკუმენტის შესაბამის თავში.



**სურ. N10.4.1 - საპროექტო ტერიტორიაზე წარმოდგენილი მცენარეული საფარი**



### 10.5 დაცული ტერიტორიები, ტყის ფონდის მიწები, ზურმუხტის ქსელი


საპროექტო ტერიტორიიდან მტირალას ეროვნული პარკი დაშორებულია 11კმ მანძილით, ხოლო მაჭახელას ეროვნული პარკი დაახლოებით 15 კმ მანძილით. ამასთან, ზურმუხტის ქსელის საიტი, ჭოროხის დელტა GE0000054, დააშორებულია 600 მეტი მანძილით. საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს ტყის ფონდის მიწები არ მდებარეობს.



სურ. N10.5.1 - საპროექტო ტერიტორიიდან დაცული ტერიტორიების დაშორება

### 10.6 კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები

საპროექტო ტერიტორიაზე, ძეგლთა დაცვის სპეციალისტის მიერ ჩატარდა შესაბამისი კვლევა. კვლევის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები განთავსებული არ არის. წარმოდგენილ რუკაზე (სურ.#10.6.1) მოცემულია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების განთავსება ბათუმსა და მის შემოგარენში.



სურ. N10.6.1 - კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები ბათუმსა და მის შემოგარენში საპროექტო ტერიტორიის მითითებით

## 10.7 არსებული საკომუნიკაციო ქსელები

საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ, საკადასტრო კოდის გარეთ, გადის საკანალიზაციო და სანიაღვრე ქსელები. სხვა საკომუნიკაციო ქსელები საპროექტო ტერიტორიაზე არ ფიქსირდება. ამასთან, სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე, კომპანია, თავ ურბან საქართველოსთან შეთანხმებით (საჭიროების შემთხვევაში) მიმართავს ქალაქში არსებულ სხვადასხვა ოპერატორ კომპანიებს და მიიღებს წერილობით ინფორმაციას საპროექტო ტერიტორიაზე საკომუნიკაციო ქსელების არსებობის შესახებ.



## 11. ზემოქმედების შეფასება

### 11.1 ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე, ტყის ფონდის მიწებსა და ზურმუხტის ქსელზე

როგორც უკვე აღინიშნა, ობიექტის განთავსებისთვის შერჩეული მიწის ნაკვეთი საკმაოდ დიდი მანძილით არის დაშორებული დაცული ტერიტორიებიდან და ზურმუხტის ქსელიდან. ამასთან, ობიექტის სიახლოვეს არ მდებარეობს ტყის ფონდის მიწები. შესაბამისად, პროექტის განხორციელებით დაცულ ტერიტორიებზე, ზურმუხტის ქსელზე და ტყის ფონდის მიწებზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

### 11.2 ზემოქმედება მცენარეულ საფარზე და ცხოველთა სამყაროზე

როგორც უკვე აღინიშნა, საპროექტო ტერიტორია წარმოდგენილია ბალახოვანი ზედაპირით, რომელიც სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე მოიხსნება ნიადაგის ნაყოფიერ ფენასთან ერთად.

რაც შეეხება, საპროექტო ტერიტორიაზე ფაუნის სახეობების არსებობას და მათზე ზემოქმედების საკითხს, ბათუმის აეროპორტის ტერიტორია წლების მანძილზე გამოიყენება საავიაციო დანიშნულებით, შესაბამისად იგი არ წარმოადგენს ცხოველთა საბინადრო ადგილს, აღნიშნულიდან გამომდინარე მათზე რაიმე სახის ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. ამასთან, უშუალოდ ნავთობბაზის ტერიტორია შემოიღობება. ხოლო მშენებლობის დროს განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ტერიტორიაზე შემთხვევით მოხვედრილი ფაუნის სახეობების დაცვის საკითხს.

სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდეგ ტერიტორიის გარკვეულ ფართობზე გათვალისწინებულია მწვანე გაზონის მოწყობა. პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე, ნავთობბაზის მოწყობის ტექნიკური მოთხოვნები კრძალავს ნავთობბაზების ტერიტორიაზე მაღალმოზარდი, მერქნული მცენარეების დარგვას. შესაბამისად, ტერიტორიის გამწვანება მერქნული მცენარეებით გათვალისწინებული არ არის.

### 11.3 ნიადაგის ან/და გრუნტის წყლების დაბინძურება, ზემოქმედება ზედაპირული წყლის ობიექტზე

როგორც უკვე აღინიშნა, საპროექტო ტერიტორიაზე დაგეგმილი ინფრასტრუქტურულიდან და რეზერვუარების მედეგობიდან გამომდინარე ავარიული დაღვრების რისკები მინიმუმამდე იქნება დაყვანილი. თუმცა, რეზერვუარების გარშემო გათვალისწინებულია 1 მ სიმაღლის მქონე ბეტონის შემოზვინვის მოწყობა. ბეტონის შემოზვინვის შიგნით, სარეზერვუარო პარკის საერთო ფართობი შეადგენს 370 მ<sup>2</sup>-ს, რომელიც ერთდროულად ორი 150 მ<sup>3</sup> მოცულობის მქონე რეზერვუარის ავარიული დაღვრის შემთხვევაშიც კი უზრუნველყოფს დაღვრილი ნავთობის დაჭერას.

ამასთან აღნიშნული შემოზღოვანა უზრუნველყოფს როგორც სანიაღვრე, ასევე რეზერვუარების რეცხვისას წარმოქმნილი საწარმოო წყლების შეკრებას. ნავთობბაზაზე წარმოქმნილი წყლები ტერიტორიაზე მოწყობილი სპეციალური არხებით მოხვდება ჩამდინარე წყლების გამწმენდ ნაგებობაში, საიდანაც გაწმენდილი წყლების ჩაშვება მოხდება ქალაქის სანიაღვრე სისტემაში. შესაბამისად, პროექტის განხორციელების ეტაპზე შემოქმედება ნიადაგის და გრუნტის წყლის ხარისხზე მოსალოდნელი არ არის.

რაც შეეხება ზედაპირული წყლის ობიექტს, ისინი საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს არ გვხვდება, შესაბამისად მასზე შემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

#### 11.4 ზემოქმედება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე


ტერიტორია, სადაც დაგეგმილია ნავთობბაზის მოწყობა თავისუფალია ხე-მცენარეებისგან და ტერიტორია ვიზუალური დათვალიერებით დაფარულია ბალახოვანი საფარით. ეს ტერიტორია საკმაოდ დეგრადირებულია და ღარიბია ნიადაგის ნაყოფიერი ფენისგან. თუმცა, მცირე რაოდენობის ნაყოფიერი ფენის მოხსნის საჭიროება იქნება სამუშაოების დაწყებამდე.

იმისათვის, რომ ბაზის მოწყობის სამუშაოების განხორციელების პერიოდში თავიდან იქნეს აცილებული ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დაზიანება, საჭიროა ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა ტერიტორიის სრულ ფართობზე (2140 მ<sup>2</sup>).

ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა განხორციელდება ნავთობბაზის სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე, რომელიც დასაწყობდება საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ, შპს საქართველოს აეროპორტების გაერთიანების ტერიტორიაზე, შემდეგი GPS კოორდინატების ფარგლებში:

#	X	Y
1	716922.84	4609719.69
2	716927.80	4609716.24
3	716915.83	4609702.75
4	716910.90	4609706.03

საპროექტო ტერიტორიის და ნიადაგის ნაყოფიერი ფენის განთავსების ადგილები მოცემულია რუკაზე N11.4.1.



სურ. N 11.4.1 - საპროექტო ტერიტორია ნიადაგის ნაყოფიერი ფენის განთავსების ადგილის მითითებით

ნიადაგის მოხსნა, დასაწყობება, და კონსერვაცია განხორციელდება საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №415 დადგენილებით დამტკიცებული „ნიადაგის ნაყოფიერების დონის განსაზღვრის“ და „ნიადაგის კონსერვაციისა და ნაყოფიერების მონიტორინგის“ ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული პირობებისა და ასევე „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად.

ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა მოხდება 2140 მ<sup>2</sup> ფართობზე ნაყოფიერი ფენის საშუალო სიმაღლის (0,10 სმ) გათვალისწინებით, მოსახსნელი ნაყოფიერი ფენის მოცულობა დაახლოებით იქნება:

$$2140 \times 0.10 = 214 \text{ მ}^3$$

მოხსნილი ნიადაგი დასაწყობდება საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ ცალკე გამოყოფილ 100 მ<sup>2</sup> ფართობზე (სურ.N11.3.1), რომელიც დაცული იქნება გარე ფაქტორების ზემოქმედებისგან.

ნიადაგის ნაყოფიერი ფენის განთავსება მოხდება შესაბამისი წესების დაცვით: ნაყარის სიმაღლე არ აღემატება 2 მ-ს; ნაყარის ფერდებს მიეცემა შესაბამისი დახრის ( $45^{\circ}$ ) კუთხე; დაცული იქნება სამუშაო მოედნების საზღვრები მოსაზღვრე უბნების შესაძლო დაბინძურების, ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დაზიანების და ნიადაგის ეროზიის თავიდან აცილების მიზნით;

სამუშაოების დასრულების შემდეგ მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის ნაწილი (დაახლოებით 100 მ<sup>3</sup>) დაბრუნდება საპროექტო ტერიტორიაზე გაზონის მოსაწყობად, ხოლო ნაწილი დარჩება განთავსების ადგილზე და შემდგომში მისი მართვა განხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად.

### 11.5 ზემოქმედება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე

როგორც უკვე აღინიშნა, საპროექტო ტერიტორიაზე ჩატარდა შესაბამისი კვლევა. ჩატარებული კვლევის მიხედვით არც უშუალოდ საპროექტო ტერიტორიაზე და არც დაგეგმილი ობიექტის უშუალო სიახლოვეს არ მდებარეობს ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, შესაბამისად აღნიშნულზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

### 11.6 ზემოქმედება სატრანსპორტო ნაკადებზე

როგორც უკვე აღინიშნა, ნავთობბაზაზე საწვავის შემოტანა განხორციელდება სატვირთო ცისტერნების მეშვეობით, ყოველდღიურად. საწვავი შემოტანილი იქნება შპს „პეტროკას ფიუელ სერვისიზ ჯორჯიას“ სამტრედიის ნავთობბაზიდან. საწვავის შემოტანა მოხდება მოთხოვნის შესაბამისად, ზამთრის პერიოდში დღის განმავლობაში 1, ხოლო გაზაფხული-ზაფხულის პერიოდში დღეში 2 სატრანსპორტო რეისით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსალოდნელია დღეში მაქსიმუმ 2 სატრანსპორტო რეისის განხორციელება, რაც ტერიტორიის მიმდებარე მაგისტრალზე არსებული სატრანსპორტო ნაკადების ფონური ინტენსივობის გათვალისწინებით, არ მოახდენს სატრანსპორტო ნაკადების ინტენსივობის მნიშვნელოვან ზრდას და შესაბამისად პროექტის განხორციელების ეტაპზე სატრანსპორტო ნაკადებზე ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი.

### 11.7 ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ზემოქმედება

ნავთობბაზის მოწყობის ეტაპზე ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედება მოსალოდნელია რეზერვუარების და ინფრასტრუქტურული ობიექტების მოწყობისას, რომელიც ღროებიანი ხასიათისაა და განპირობებული იქნება საშენებლო მასალების ტერიტორიაზე შემოტანით. აღნიშნული ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი.

ნავთობბაზის ექსპლუატაციის ეტაპზე გაფრქვევის წყაროები იქნება რეზერვუარები, საწვავის მიღება-გაცემის სადგურზე არსებული ტუმბოები, გამწმენდი დანადგარი საიდანაც მოსალოდნელია საწარმოს დაბინძურების წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში ძირითადად გამოიყოფა ნაჯერი ნახშირწყალბადები, C<sub>1</sub>- C<sub>5</sub>, არომატული ნ/წყალბადები (ამილენები), ნაჯერი ნახშირწყალბადები, C<sub>12</sub>- C<sub>19</sub> და გოგირდწყალბადი.

ნავთობპროდუქტების საცავის ობიექტზე მოსალოდნელ მავნე ნივთიერებათა გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროების შესახებ მონაცემები მოცემულია ცხრილში 11.5.1.

**ცხრილი 11.5.1 - საწარმოდან მავნე ნივთიერებათა გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროები**

გაფრქვევის ობიექტის დასახელება	გამყოფის წყაროს დასახელება	გაფრქვევის წყაროს დასახელება (საინვენტარიზაციო ნომერი)
სარეზერვუარო პარკი	#1 რეზერვუარი (ნავთობპროდუქტების აორთქლება - ე.წ "დიდი სუნთქვა" და "მცირე სუნთქვა), მავნე ნივთიერებათა ორგანიზებული გაფრქვევებით	რეზერვუარის სარქველი (ა-1)
	#2 რეზერვუარი (ნავთობპროდუქტების აორთქლება - ე.წ "დიდი სუნთქვა" და "მცირე სუნთქვა), მავნე ნივთიერებათა ორგანიზებული გაფრქვევებით	რეზერვუარის სარქველი (ა-2)
	#3 რეზერვუარი (ნავთობპროდუქტების აორთქლება - ე.წ "დიდი სუნთქვა" და "მცირე სუნთქვა), მავნე ნივთიერებათა ორგანიზებული გაფრქვევებით	რეზერვუარის სარქველი (ა-3)
საწვავის მიმღები უბანი	საწვავის მიმღები ტუმბო	არაორგანიზებული (ა-4)
საწვავის გასაცემი უბანი	საწვავის გასაცემი ტუმბო	არაორგანიზებული (ა-5)
გამწმენდი დანადგარი	გამწმენდი დანადგარი (ნავთობპროდუქტების აორთქლება)	არაორგანიზებული (ა-6)

**ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობის ანგარიშის მეთოდური საფუძვლები**

ნავთობპროდუქტების ორთქლის მაქსიმალური გაფრქვევა (M, გ/წმ) და გაფრქვევები წლის განმავლობაში (G, ტ/წელი) გამოითვლება [10] ფორმულებით (მე-3 კლიმატური რაიონი):

$$M = C_1 * K_p^{max} * V_v^{max} / 3600, \text{ გ/წმ} \quad (6.1.)$$

$$G = (Y_2 * B^{O3} + Y_3 * B^{N}) * K_p^{max} * 10^{-6} + G_{xp} * K_{Hn} * N_p, \text{ ტ/წელი} \quad (6.2.)$$

სადაც:

$C_1$  \_ რეზერვუარში ნავთობპროდუქტების ორთქლის კონცენტრაციაა (გ/მ<sup>3</sup>), აიღება სახელმძღვანელო მეთოდის დანართი 12-ის მიხედვით;

$K_p^{max}$  \_ საცდელი კოეფიციენტებია, აიღება სახელმძღვანელო მეთოდის დანართი 8-ის მიხედვით.

$V_4^{max}$  \_ ჩატვირთვისას რეზერვუარებიდან გამოდევნილი აირჰაეროვანი ნარევის მაქსიმალური მოცულობაა (მ<sup>3</sup>/სთ), აიღება ტუმბოს წარმადობის (გადატუმბვის მოცულობითი სიჩქარის) მიხედვით.

$Y_2$  და  $Y_3$  \_ რეზერვუარებიდან საშუალო ხვედრითი გაფრქვევებია, შესაბამისად შემოდგომა-ზამთრისა და გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდისათვის, გ/ტ, აიღება სახელმძღვანელო მეთოდის დანართი 12-ის მიხედვით (მე-3 კლიმატური ზონა);

$B$  \_ წლის განმავლობაში რეზერვუარში ჩატვირთული სითხის რაოდენობაა (ტ/წელ);

$G_{xp}$  \_ ერთი რეზერვუარიდან ნავთობპროდუქტების ორთქლის გაფრქვევის მნიშვნელობაა მათი შენახვის დროს (ტ/წელ), აიღება სახელმძღვანელო მეთოდის დანართი 13-ის მიხედვით;

$K_{HI}$  \_ საცდელი კოეფიციენტი, აიღება სახელმძღვანელო მეთოდის დანართი 12-ის მიხედვით;

$N_p$  \_ ერთი დანიშნულების რეზერვუარების რაოდენობა (ცალი).



### 11.8 ხმაურის გავრცელება

ნავთობბაზის მოწყობის ეტაპზე ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება მოსალოდნელია რეზერვუარების და ინფრასტრუქტურული ობიექტების მოწყობისას, რომელიც იქნება დროებითი ხასიათის. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ნავთობბაზის მოწყობის სამუშაოები განხორციელდება დღის საათებში კანონმდებლობის სრული დაცვით. შესაბამისად ობიექტის მოწყობის ეტაპზე ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი.

ექსპლუატაციის ეტაპზე ობიექტზე ხმაურის წარმოქმნა მოსალოდნელია საწვავის მიღებისა და ჩატვირთვისას. ობიექტის ფუნქციონირების შედეგად ხმაურის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედების შეფასებისას გასათვალისწინებელია რიგი გარემოებები, კერძოდ:

- როგორც წინამდებარე დოკუმენტშია მოცემული, საწვავის მიღება-გაცემის ბაქანზე ორი ტუმბოს ერთდროული მუშაობა არ ხდება, ვინაიდან როცა წარმოებს საწვავის მიღება ნავთობბაზის ტერიტორიაზე სხვა ოპერაციების შესრულება აკრძალულია. გამომდინარე აღნიშნულიდან დროის ნებისმიერ მონაკვეთში, სატუმბ სადგურში ფუნქციონირებს ხმაურის გამომწვევი მხოლოდ ერთი წყარო;
- ობიექტზე გათვალისწინებულია სათადარიგო დიზელ-გენერატორი, რომელიც მხოლოდ ელ. ენერჯის ავარიულად გამორთვის შემთხვევაში გამოიყენება და არ წარმოადგენს ხმაურის მუდმივ წყაროს;
- გამომდინარე იქიდან, რომ შერჩეული ტერიტორია მდებარეობს აეროპორტის ტერიტორიაზე, სადაც საავიაციო ოპერაციების შესრულებას თან სდევს ხმაურის წარმოქმნა და გავრცელება მიმდებარე ტერიტორიაზე, ობიექტის ფუნქციონირებით გამოწვეული ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება იქნება უმნიშვნელო.

აღსანიშნავია, რომ კომპანია პერიოდულად განახორციელებს ხმაურის ინსტრუმენტულ მონიტორინგს და საჭიროების შემთხვევაში გატარებული იქნება შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები.

### 11.9 კუმულაციური ზემოქმედება

კუმულაციური ზემოქმედების შეფასების მთავარი მიზანია პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი ზემოქმედების ისეთი სახეების იდენტიფიცირება, რომლებიც როგორც ცალკე აღებული, არ იქნება მასშტაბური ხასიათის, მაგრამ სხვა - არსებული, მიმდინარე თუ პერსპექტიული პროექტების განხორციელებით მოსალოდნელ, მსგავსი სახის ზემოქმედებასთან ერთად საგულისხმოა.

ობიექტის ექსპლუატაციის პროცესში, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, კუმულაციური ზემოქმედების ერთადერთ საგულისხმო სახედ უნდა მივიჩნიოთ ატმოსფერულ ჰაერზე მავნე ნივთიერებებისა და ხმაურის გავრცელება, კერძოდ ობიექტისა და მის მიმდებარედ არსებული საწარმოების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ერთდროული ფუნქციონირების შედეგად გამოწვეული ჯამური ზეგავლენა გარემოს სხვადასხვა რეცეპტორებზე.

აღსანიშნავია, რომ ობიექტის მიმდებარედ რაიმე სახის საწარმოო ობიექტი განთავსებული არ არის, შესაბამისად კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

## 12. ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა

### 12.1 ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმის მიზნები და ამოცანები

კომპანიას შემუშავებული აქვს ავარიული სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც დამტკიცებული იქნება ბათუმის ნავთობბაზის ობიექტისთვის და გამოყენებული იქნება სახელმძღვანელო დოკუმენტით ობიექტზე ავარიული სიტუაციების მართვისთვის.

ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმის მიზანია ჩამოაყალიბოს და განსაზღვროს სახელმძღვანელო მითითებები ოპერატორი კომპანიის პერსონალისათვის, რათა უზრუნველყოფილი იყოს ნებისმიერი მასშტაბის ტექნოგენურ ავარიებზე და ინციდენტებზე, აგრეთვე სხვა საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების და ლიკვიდაციის პროცესში ჩართული და სხვა მომსახურე პერსონალის ქმედებების რაციონალურად, კოორდინირებულად და ეფექტურად წარმართვა, პერსონალის, მოსახლეობის და გარემოს უსაფრთხოების დაცვა.

ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმის ამოცანებია:

- საქმიანობის განხორციელების დროს, მისი სპეციფიკის გათვალისწინებით მოსალოდნელი ავარიული სახეების განსაზღვრა;
- თითოეული სახის ავარიულ სიტუაციაზე რეაგირების ჯგუფების შემადგენლობის, მათი აღჭურვილობის, ავარიულ სიტუაციაში მოქმედების გეგმის და პასუხისმგებლობების განსაზღვრა;
- შიდა და გარე შეტყობინებების სისტემის, მათი თანმიმდევრობის, შეტყობინების საშუალებების და მეთოდების განსაზღვრა და ავარიული სიტუაციების შესახებ შეტყობინების (ინფორმაციის) გადაცემის უზრუნველყოფა;
- შიდა რესურსების მყისიერად ამოქმედება და საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი რესურსების დადგენილი წესით მობილიზების უზრუნველყოფა და შესაბამისი პროცედურების განსაზღვრა;

- ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების საორგანიზაციო სისტემის მოქმედების უზრუნველყოფა;
- ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების პროცესში საკანონმდებლო, ნორმატიულ და საწარმოო უსაფრთხოების შიდა განაწესის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

მოსალოდნელი ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა ითვალისწინებს საქართველოს კანონების და საკანონმდებლო აქტების მოთხოვნებს.

## 12.2 პროექტის განხორციელების დროს მოსალოდნელი ავარიული სიტუაციების სახეები

დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით მოსალოდნელია შემდეგი სახის ავარიები და ავარიული სიტუაციები:

- ხანძარი/აფეთქება;
- საშიში ნივთიერებების, მათ შორის ნავთობპროდუქტების დაღვრა;
- რეზერვუარების დაზიანება და ნავთობპროდუქტების ავარიული დაღვრა;
- პერსონალის ტრავმები და მათი ჯანმრთელობის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინციდენტები;
- სატრანსპორტო შემთხვევები;
- ბუნებრივი ხასიათის ავარიული სიტუაციები (მარგინალური ამინდის პირობები, მიწისძვრა, წყალმოვარდნა და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ავარიული სიტუაციები შესაძლოა თანმდევი პროცესი იყოს და ერთი სახის ავარიული სიტუაციის განვითარებამ გამოიწვიოს სხვა სახის ავარიის ინიცირება.

### 12.2.1 ხანძარი/აფეთქება

ხანძრის აღმოცენება-გავრცელებისა და აფეთქების რისკები არსებობს ობიექტის ექსპლუატაციის დროს. პროექტის განხორციელების ადგილმდებარეობის ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე ავარიის გამომწვევი ფაქტორი ძირითადად შეიძლება იყოს ანთროპოგენური, კერძოდ: მომსახურე პერსონალის გულგრილობა და უსაფრთხოების წესების დარღვევა, ნავთობპროდუქტების, ზეთების და სხვა ადვილად აალებადი/ფეთქებადი მასალების შენახვის და გამოყენების წესების დარღვევა და სხვ. თუმცა აფეთქების და ხანძრის გავრცელების პროვოცირება შეიძლება სტიქიურმა მოვლენამაც მოახდინოს (მაგ. მიწისძვრა).

ექსპლუატაციის ეტაპზე ხანძრის განვითარების და აფეთქების რისკების თვალსაზრისით სენსიტიური უბნებია: სარეზერვუარო პარკი, სახიფათო ნარჩენების განთავსების უბნები და სხვა ადვილად აალებადი და აფეთქებადი მასალების განთავსების უბნები.

ხანძრის/აფეთქების თანმდევი პროცესები შეიძლება იყოს:

- საშიში ნივთიერებების ზალპური გაფრქვევა / დაღვრა;
- პერსონალის ან მოსახლეობის ტრავმები და მათი ჯანმრთელობის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული შემთხვევები.

### **12.2.2 საშიში ნივთიერებების მათ შორის ნავთობპროდუქტების ზალპური დაღვრა**

ობიექტის ექსპლუატაციის პროცესში ავარიული სიტუაციის განვითარების მიზეზი შეიძლება იყოს ტექნოლოგიური დანადგარების, რეზერვუარების, ზეთშემცველი დანადგარ - მექანიზმების გაუმართაობა და შესაძლოა ჭურჭლის ჰერმეტიკობის დარღვევა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საშიში ნივთიერებების დაღვრა.

ავარიის თანმდევი პროცესები შეიძლება იყოს:

- ხანძარი/აფეთქება;
- პერსონალის ან მოსახლეობის მოწამვლა.

### **12.2.3 რეზერვუარების დაზიანება და ნავთობპროდუქტების ავარიული დაღვრა**

ნავთობბაზის ექსპლუატაციის პროცესში ნავთობპროდუქტების ავარიული დაღვრის მიზეზი შეიძლება გახდეს ტექნიკური გაუმართაობა, მომსახურე პერსონალის უყურადღებობა ან არასაკმარისი ცოდნა, ბუნებრივი კატასტროფები და სხვა.

გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების მინიმუმაციის ძირითადი შემარბილებელი ღონისძიებაა ნავთობბაზის ტექნოლოგიური დანადგარების/რეზერვუარების ავარიული დაზიანების პრევენცია, ხოლო ავარიის შემთხვევაში დაზიანების ოპერატიული აღდგენა.

### **12.2.4 პერსონალის ტრავმები და მათი ჯანმრთელობის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები**

გარდა სხვა ავარიულ სიტუაციებთან დაკავშირებული ინციდენტებისა მუშახელის ტრავმატიზმი შესაძლოა უკავშირდებოდეს:

- გამოყენებულ ტექნიკასთან/მანქანებთან დაკავშირებულ ინციდენტებს;
- დენის დარტყმას დაზვის ქვეშ მყოფი დანადგარების სიახლოვეს ყოფნისას.

### 12.2.5 ბუნებრივი ხასიათის ავარიული სიტუაციები

დაგეგმილი საქმიანობის პროცესში ბუნებრივი ხასიათის ავარიული სიტუაციებზე სათანადო, დროულ და გეგმაზომიერ რეაგირებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან სტიქიური მოვლენები ნებისმიერი ზემოთჩამოთვლილი ავარიული სიტუაციის მაპროვოცირებელი ფაქტორი შეიძლება გახდეს.

### 12.2.6 ავარიული სიტუაციების წარმოქმნის ძირითადი პრევენციული ღონისძიებები

ხანძრის / აფეთქების პრევენციული ღონისძიებები:

- პერსონალის პერიოდული სწავლება და ტესტირება ხანძრის პრევენციის საკითხებზე;
- ადვილად აალებადი და აფეთქებადსაშიში ნივთიერებების დასაწყობება უსაფრთხო ადგილებში. მათი განთავსების ადგილებში შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნების არსებობის მუდმივი კონტროლი;
- ხანძარსაწინააღმდეგო ნორმების დაცვა და მაღალი რისკის მქონე ტერიტორიებზე ქმედითუნარიანი სახანძრო ინვენტარის არსებობა;
- მუშაობის დროს უნებლიედ გაფანტული ხანძარსაშიში, ადვილად აალებადი ნივთიერებები უნდა იყოს ფრთხილად მოგროვილი და მოთავსებული ნარჩენების ყუთში. ის ადგილები, სადაც იყო დარჩენილი ან გაფანტული ხანძარსაშიში ნივთიერებები, უნდა იყოს გულმოდგინედ გაწმენდილი ნარჩენების საბოლოოდ მოცილებამდე.

საშიში ნივთიერებების დაღვრის პრევენციული ღონისძიებები:

- ნავთობპროდუქტების და ქიმიური ნივთიერებების შენახვის და გამოყენების წესების დაცვაზე მკაცრი ზედამხედველობა. შენახვამდე უნდა მოწმდებოდეს შესაბამისი ჭურჭლის ვარგისიანობა;
- ნივთიერებების მცირე ჟონვის ფაქტის დაფიქსირებისთანავე სამუშაოების შეწყვეტა / დანადგარ-მექანიზმების მუშაობის შეჩერება და სარემონტო ღონისძიებების გატარება, რათა ინციდენტმა არ მიიღოს მასშტაბური ხასიათი;
- სარეზერვუარო პარკის დაზიანების და ნავთობპროდუქტების ავარიული დაღვრის პრევენციული ღონისძიებები;
- სარეზერვუარო პარკის ტექნიკური გამართულობის სისტემატური კონტროლი და ექსპლუატაციის წესების დაცვა;

- პერსონალის პერიოდული სწავლება ობიექტის ექსპლუატაციის წესების დაცვის და ტექნიკური უსაფრთხოების საკითხებზე;
- პერსონალის პერიოდული სწავლება გარემოსდაცვით საკითხებზე;
- ობიექტის ტექნოლოგიური სისტემების გეგმიური და საჭიროების შემთხვევაში მიმდინარე შეკეთება;
- ავარიული სიტუაციების გამომწვევი ტექნიკური გაუმართაობის ოპერატიულად გამოსწორება.

პერსონალის ტრავმატიზმის/დაზიანების პრევენციული ღონისძიებები:

- პერსონალის პერიოდული სწავლება და ტესტირება შრომის უსაფრთხოების საკითხებზე;
- პერსონალის აღჭურვა ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით;
- სახიფათო ზონები უნდა იყოს შემოფარგლული და აღნიშნული, ღამით ადვილად შესამჩნევი;
- შესაბამის ადგილებში სამედიცინო ყუთების განლაგება;
- სახიფათო ზონებში შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნების, ასევე უსაფრთხოების განათების მოწყობა;
- სპეციალური კადრების მომზადება, რომელიც გააკონტროლებს სამუშაო უბნებზე უსაფრთხოების ნორმების შესრულების დონეს და დააფიქსირებს უსაფრთხოების ნორმების დარღვევის ფაქტებს.

### 12.2.7 ინციდენტის სავარაუდო მასშტაბები

ობიექტის ექსპლუატაციის პროცესში მოსალოდნელი ავარიის, ინციდენტის სალიკვიდაციო რესურსების და საკანონმდებლო მოთხოვნების გათვალისწინებით, ავარიები და ავარიული სიტუაციები დაყოფილია რეაგირების შემდეგი ძირითადი დონეების მიხედვით.

## 12.3 ავარიულ სიტუაციებზე რეაგირება

### 12.3.1 რეაგირება ხანძრის შემთხვევაში

ხანძრის კერის ან კვამლის აღმომჩენი პირის და მახლობლად მომუშავე პერსონალის სტრატეგიული ქმედებებია:

- სამუშაო უბანზე ყველა საქმიანობის შეწყვეტა, გარდა უსაფრთხოების ზომებისა;
- სიტუაციის შეფასება, ხანძრის კერის და მიმდებარე ტერიტორიების დაზვერვა;
- შეძლებისდაგვარად ტექნიკის და სხვა დანადგარ-მოწყობილობების იმ ადგილებიდან გაყვანა/გატანა, სადაც შესაძლებელია ხანძრის გავრცელება. ელექტრომოწყობილობები უნდა ამოირთოს წრედიდან;

- იმ შემთხვევაში თუ ხანძარი მძლავრია და გაძნელებულია ხანძრის კერასთან მიდგომა, მიმდებარედ განლაგებულია რაიმე ხანძარსაშიში ან ფეთქებადსაშიში უბნები/ნივთიერებები, მაშინ:
  - მოშორდით სახიფათო ზონას;
  - ევაკუირებისას იმოქმედეთ ნაგებობის ევაკუაციის სქემის/ საევაკუაციო პლაკატების მითითებების მიხედვით;
  - თუ თქვენ გიწევთ კვამლიანი დახურული სივრცის გადაკვეთა, დაიხარეთ რადგან ჰაერი ყველაზე სუფთა იატაკთანაა, ცხვირზე და პირზე აიფარეთ სველი ნაჭერი;
  - თუ ვერ ახერხებთ ევაკუაციას აღმოდებული გასასვლელის გამო ხმამაღლა უხმეთ მშველელს;
  - ავარიის შესახებ შეტყობინება გადაეცით უფროს მენეჯერს/ოპერატორს;
  - დაელოდეთ სამაშველო რაზმის გამოჩენას და მათი მოსვლისას გადაეცით დეტალური ინფორმაცია ხანძრის მიზეზების და ხანძრის კერის სიახლოვეს არსებული სიტუაციის შესახებ;
- იმ შემთხვევაში თუ ხანძარი არ არის მძლავრი, ხანძრის კერა ადვილად მისადგომია და მასთან მიახლოება საფრთხეს არ უქმნის თქვენს ჯანმრთელობას. ამასთან არსებობს მიმდებარე ტერიტორიებზე ხანძრის გავრცელების გარკვეული რისკები, მაშინ იმოქმედეთ შემდეგნაირად:
  - ავარიის შესახებ შეტყობინება გადაეცით უფროს მენეჯერს / ოპერატორს;
  - მოძებნეთ უახლოესი სახანძრო სტენდი და მოიმარაგეთ საჭირო სახანძრო ინვენტარი (ცეცხლმაქრობი, ნაჯახი, ძალაყინი, ვედრო და სხვ);
  - ეცადეთ ხანძრის კერის ლიკვიდაცია მოახდინოთ ცეცხლმაქრობით, ცეცხლმაქრობზე წარმოდგენილი ინსტრუქციის მიხედვით;
  - იმ შემთხვევაში თუ უბანზე არ არსებობს სახანძრო სტენდი, მაშინ ხანძრის კერის ლიკვიდაციისთვის გამოიყენეთ ქვიშა, წყალი ან გადააფარეთ ნაკლებად აალებადი სქელი ქსოვილი;
  - იმ შემთხვევაში თუ ხანძრის კერის სიახლოვეს განლაგებულია წრედში ჩართული ელექტროდანადგარები წყლის გამოყენება დაუშვებელია;
  - დახურულ სივრცეში ხანძრის შემთხვევაში ნუ გაანიავებთ ოთახს (განსაკუთრებული საჭიროების გარდა), რადგან სუფთა ჰაერი უფრო მეტად უწყობს ხელს წვას და ხანძრის მასშტაბების ზრდას.

ხანძრის შემთხვევაში უბნის მენეჯერის/უფროსი ოპერატორის სტრატეგიული ქმედებებია:

- დეტალური ინფორმაციის მოგროვება ხანძრის კერის ადგილმდებარეობის, მიმდებარედ არსებული/დასაწყობებული დანადგარ-მექანიზმების და ნივთიერებების შესახებ და სხვ;



- სხვა პერსონალის და სახანძრო სამსახურის ინფორმირება;
- ინციდენტის ადგილზე მისვლა და სიტუაციის დაზვერვა, რისკების გაანალიზება და ხანძრის სავარაუდო მასშტაბების შეფასება;
- მთელს პერსონალს ეთხოვოს მანქანებისა და უბანზე არსებული ხანძარსაქრობი აღჭურვილობის გამოყენება;
- პერსონალის ქმედებების გაკონტროლება და ხელმძღვანელობა.
- ხანძრის შემთხვევაში ობიექტის ხელმძღვანელის/უფროსის სტრატეგიული ქმედებებია:
  - სახანძრო სამსახურის ინფორმირება;
  - HSE წარმომადგენელთან ერთად შიდა პერსონალის ქმედებების გაკონტროლება და ხელმძღვანელობა ადგილობრივი ან რეგიონალური სახანძრო რაზმის გამოჩენამდე (ამის შემდეგ შტატს ხელმძღვანელობს სახანძრო რაზმის ხელმძღვანელი);
  - სახანძრო რაზმის ქმედებების ხელშეწყობა (შესაძლოა საჭირო გახდეს უბანზე არარსებული სპეციალური აღჭურვილობა და სხვ.);
  - ინციდენტის დასრულების შემდგომ HSE წარმომადგენელთან ერთად ავარიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების გატარება;

### 12.3.2 რეაგირება საშიში ნივთიერებების დაღვრის შემთხვევაში

- წინამდებარე ქვეთავში განხილულია მხოლოდ I და II დონის ავარიული სიტუაციებზე რეაგირების სტრატეგია. საშიში ნივთიერებების დაღვრის რეაგირების სახეებს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მიწის ზედაპირის სახე. აგრეთვე, მისი პირვანდელი მდგომარეობა. იქიდან გამომდინარე რომ ობიექტის ზედაპირი მობეტონებულია ავარიებზე რეაგირება წარმოდგენილია შემდეგი სცენარისთვის:
  - საშიში ნივთიერებების დაღვრა შეუღწევად ზედაპირზე (ბეტონის საფარი);

შეუღწევად ზედაპირზე საშიში ნივთიერებების (ძირითადად ნავთობპროდუქტები) დაღვრის შემთხვევაში საჭიროა შემდეგი სტრატეგიული ქმედებების განხორციელება:

- ინფორმაციის გადაცემა სხვა პერსონალისთვის და სამაშველო რაზმისთვის;
- უბანზე მომუშავე ყველა დანადგარ-მექანიზმის გაჩერება;
- დაბინძურების წყაროს გადაკეტვა (არსებობის შემთხვევაში);
- ეთხოვოს პერსონალს ავარიაზე რეაგირებისათვის საჭირო აღჭურვილობის და ინდივიდუალური დაცვის საშუალებების მობილიზება;

- მოხდეს სამეურნეო-ფეკალური კანალიზაციის სისტემის შესასვლელების (ჭების ხუფები) ბლოკირება;
- საჭიროების შემთხვევაში საჭიროა შესაფერისი შეუღწევადი მასალისაგან (ქვიშის ტომრები, პლასტმასის ფურცლები, პოლიეთილენის აპკები და სხვ.) გადასაკეტი ბარიერების მოწყობა ისე, რომ მოხდეს დაღვრილი ნივთიერებების შეკავება ან გადაადგილების შეზღუდვა;
- ბარიერები უნდა აიგოს ნალის ფორმით, ისე, რომ გახსნილი მხარე მიმართული იყოს ნივთიერებების დინების შემხვედრად;
- მოხდეს დაღვრილი ნავთობპროდუქტების შეგროვება ცოცხებისა და ტილოების გამოყენებით;
- დაღვრილი ნავთობპროდუქტების შესაშრობად საჭიროა შთანთქმელი (აბსორბენტული) საფენების გამოყენება;
- მოაგროვეთ ნავთობპროდუქტები ისე, რომ შესაძლებელი იყოს მისი კონტეინერში (ჭურჭელში) შეგროვება და შემდგომი გადატანა.
- ნავთობის შეწოვის შემდეგ საფენები უნდა მოთავსდეს პოლიეთილენის ტომრებში (საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია საფენების ხელმეორე გამოყენება);
- მოედანი სრულიად უნდა გაიწმინდოს ნარჩენი ნავთობპროდუქტებისგან, რათა გამოირიცხოს მომავალში წვიმის წყლებით დამაბინძურებლების წარეცხვა;
- გაწმენდის ოპერაციების დამთავრების შემდეგ ყველა საწმენდი მასალა უნდა შეგროვდეს, შეიფუთოს და დასაწყობდეს შესაბამისად დაცულ ადგილებში.

## **12.4 ობიექტის ექსპლუატაციის შეწყვეტის შემთხვევაში გარემოს წინანდელ მდგომარეობამდე აღდგენის გზებისა და საშუალებების განსაზღვრა**

### **12.4.1 ობიექტის მოკლევადიანი გაჩერება ან რემონტი**

ობიექტის ექსპლუატაციის დროებითი გაჩერების ან რემონტის შემთხვევაში, საექსპლუატაციო სამსახური შეიმუშავებს საქმიანობის დროებით შეჩერებასთან ან რემონტთან დაკავშირებულ ოპერატიულ გეგმას, რომელიც პირველ რიგში მოიცავს უსაფრთხოების მოთხოვნებს და შეთანხმებული იქნება ადგილობრივ თვითმართველობასთან და ყველა დაინტერესებულ იურიდიულ პირთან.

13. დანართი 1 - ამონაწერი საჯარო რეესტრიდან



შპს (უზრეო ქონება) საკადასტრო კოდი **N 05.32.19.205**

**ამონაწერი საჯარო რეესტრიდან**

განცხადების რეგისტრაცია  
**N 882022760567 - 20/10/2022 10:51:50**

მომზადების თარიღი  
**15/11/2022 16:44:04**

**საკუთრების განყოფილება**

მონაბათუმი	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი	ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
<b>05</b>	<b>32</b>	<b>19</b>	<b>205</b>	ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო დამუშავებელი ფართობი: 1160785.00 კვ.მ. ნაკვეთის წინა ნომერი: <b>05.32.22.026;</b> შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: N1; N2; N3; N4; N5; N6; N7; N8; N9; N10; N11; N12

მისამართი: ქალაქი ბათუმი, გზატკეცილი აეროპორტი, N220

**მესაკუთრის განყოფილება**

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი **882020044550** , თარიღი **21/01/2020 17:45:30**  
 უფლების რეგისტრაცია: თარიღი **24/01/2020**

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- ბრძანება N1/1-332 , დამოწმების თარიღი: 20/01/2020 , სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო
- ბრძანება N1/1-2877 , დამოწმების თარიღი: 21/09/2020 , სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო
- ბრძანება N1/1-1711 , დამოწმების თარიღი: 22/05/2015 , სსიპ " ქონების მართვის სააგენტო"

მესაკუთრები:

შპს "საქართველოს აეროპორტების გაერთიანება" , ID ნომერი: 404389693

მესაკუთრე:

შპს "საქართველოს აეროპორტების გაერთიანება"

აღწერა:

**იპოთეკა**

სატაღისასხადო გირაუნობა:

რეგისტრირებული არ არის

**სარგებლობა**

განცხადების რეგისტრაცია ნომერი **882015341103**  
 თარიღი **19/06/2015 12:09:48**

მოიჯარე შპს " ბათუმის აეროპორტი" 245426882;  
 საგანი: დამუშავებელი ფართობი: 1159540.00 კვ.მ და შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: N1, N2, N3, N4, N5, N6, N7, N8, N9, N10, N11, N12;  
 ფართის ხელშეკრულება, რეესტრის ნომერი **N150549488**, დამოწმების თარიღი **28/05/2015**, ნოგარიუსი ნხოფერია ,

<p>უულების რეგისტრაცია: თარიღი 08/07/2015</p> <p>განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882016123361</p> <p>თარიღი 01/03/2016 17:54:40</p>	<p>დამატებითი შეთანხმება N1, დამოწმების თარიღი 12/02/2020, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო</p> <p>ქვემოთაღარე მპს "საქციო საზოგადოება "საქართველოს ბანკი" 204378869; ქვემოთაღარე მპს "ბათუმის აეროპორტი" 245426882;</p> <p>საგანი: GF 0305-ბანკის ოფისი-10.0 კვ.მ., GF 0306 ბანკის ოფისი-10.0 კვ.მ., GF ჩამოფრენის მხარე -1.0 კვ.მ.; საბოლოო თარიღი: 31/12/2016;</p>
<p>უულების რეგისტრაცია: თარიღი 07/03/2016</p> <p>განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882016708889</p> <p>თარიღი 12/10/2016 17:32:10</p>	<p>ივარის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი 01/03/2016, სსიპ "საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო"</p> <p>ცვლილება ივარის ხელშეკრულებაში -001, დამოწმების თარიღი 11/03/2016, სსიპ "საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო"</p> <p>ქვემოთაღარე მპს "ეი თი ოუ ჯორჯია" 206268386; ქვემოთაღარე მპს "ბათუმის აეროპორტი" 245426882;</p> <p>საგანი: 230 კვ.მ ფართი; 2015 წლის 28 მაისს მპს "საქართველოს აეროპორტების გაერთიანება" და "მპს ბათუმის აეროპორტი"-ს შორის გაფორმებული ივარის ხელშეკრულების დასრულებამდე ან და შეწყვეტამდე;</p>
<p>უულების რეგისტრაცია: თარიღი 12/10/2016</p> <p>განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882017335948</p> <p>თარიღი 26/04/2017 16:54:30</p>	<p>ივარის ხელშეკრულება, დამოწმების თარიღი 12/10/2016, სსიპ "საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო"</p> <p>ქვემოთაღარე მპს "მეტეკომი" 204876606; ქვემოთაღარე მპს "ბათუმის აეროპორტი" 245426882;</p> <p>საგანი: 1 კვ.მ ფართი (1 ცელი ანგენის და რადიო საბაზო სადგურის განთავსება); საბოლოო თარიღი: 30/11/2017;</p>
<p>უულების რეგისტრაცია: თარიღი 16/05/2017</p> <p>განცხადების რეგისტრაცია ნომერი 892018092043</p> <p>თარიღი 02/02/2018 16:48:05</p>	<p>ივარის ხელშეკრულება, დამოწმების თარიღი 05/05/2017, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო</p> <p>ქვემოთაღარე მპს "ჯეოსელი" 203841940; ქვემოთაღარე მპს "ბათუმის აეროპორტი" 245426882;</p> <p>საგანი: ფართი 3 კვ.მ; საბოლოო თარიღი: 01/01/2019;</p>
<p>უულების რეგისტრაცია: თარიღი 07/02/2018</p>	<p>ივარის ხელშეკრულება, დამოწმების თარიღი 01/03/2016, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ,</p> <p>შეთანხმება 2015 წლის 4 ივნისის ივარის ხელშეკრულების შესწორება N1, დამოწმების თარიღი 01/03/2016, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო .,</p> <p>დამატებითი შეთანხმება 2015 წლის 4 ივნისის ხელშეკრულებაში, დამოწმების თარიღი 01/03/2016, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო . ,</p> <p>დამატებითი შეთანხმება 2015 წლის 4 ივნისის ხელშეკრულებაში, დამოწმების თარიღი 10.01.2017, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო,</p> <p>ცვლილება N 4, დამოწმების თარიღი 02/02/2018, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო</p>



<p>განცხადების რეგისტრაცია ნომერი <b>882020113619</b> თარიღი 12/02/2020 18:13:15</p> <p>უფლების რეგისტრაცია: თარიღი 21/02/2020</p>	<p>მოივარე შპს "ბათუმის აეროპორტი" 245426882; საგანი: დაბეჭედილი ფართობი: 1390.00 კვ.მ.; საბოლოო თარიღი: 10/08/2027;</p> <p>ივარის ხელშეკრულება, რეესტრის ნომერი N150549488, დამოწმების თარიღი 28/05/2015, ნოტარიუსი ნ.ხოფერია,</p> <p>დამატებითი შეთანხმება N1, დამოწმების თარიღი 12/02/2020, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო,</p>
<p>განცხადების რეგისტრაცია ნომერი <b>882021113844</b> თარიღი 17/02/2021 17:47:26</p> <p>უფლების რეგისტრაცია: თარიღი 23/02/2021</p>	<p>მოივარე შპს "ბათუმის აეროპორტი" 245426882; საგანი: დაბეჭედილი ფართობი: 55.00 კვ.მ.; საბოლოო თარიღი: 10/08/2027;</p> <p>ივარის ხელშეკრულება, რეესტრის ნომერი N150549488, დამოწმების თარიღი 28/05/2015, ნოტარიუსი ნ.ხოფერია,</p> <p>დამატებითი შეთანხმება N2, დამოწმების თარიღი 17/02/2020, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო,</p>

**ვალებულება**

ყალბად/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფინიკრი პარის შერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების ხიკურად მიღებისას სამომხიცილო გადასახადი გადახდის ექვემდებარება საინფორმაციო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფინიკრი პარი მთავრად ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართლებრივ დანაშაულს, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნაწილობრივი განმარტება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge);
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge), ნებისმიერ გერაციონულ სარეესტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლში და სააგენტოს ავტორიზებულ პარტნიორებში;
- ამონაწერში გენიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეიძენთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მზიდან უკანითი ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 2 405405
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: [info@napr.gov.ge](mailto:info@napr.gov.ge)

14. დანართი 2 - ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო  
სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

**ამონაწერი მენარმეთა და არასამეწარმეო  
(არაკომერციული) იურიდიული პირების  
რეესტრიდან**

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B22095125, 01/08/2022 16:43:15

**სუბიექტი**

<b>საფირმო სახელწოდება:</b>	შპს პეტროკას ფიუელ სერვისიზ ჯორჯია
<b>სამართლებრივი ფორმა:</b>	შემლუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
<b>საიდენტიფიკაციო ნომერი:</b>	405208216
<b>რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:</b>	19/05/2017
<b>მარეგისტრირებული ორგანო:</b>	სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
<b>იურიდიული მისამართი:</b>	საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ი. ჭავჭავაძის გამზირი, N34, სართული 6

**ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუნარობის პროცესის  
მიმდინარეობის შესახებ**

რეგისტრირებული არ არის

**ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა**

- დირექტორი  
ივანე ვესია, 01025008280 ,ერთპიროვნული

**კაპიტალი**

**პარტნიორები**

<b>მესაკუთრე</b>	<b>წილი</b>	<b>წილის მმართველი</b>
შემლუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ჭიეიჯი, 405221950		100%

## ვალდებულება

რეგისტრირებული არ არის

### ყადალა/აკრძალვა

რეგისტრირებული არ არის

### საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება

რეგისტრირებული არ არის

### მოდრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება

რეგისტრირებული არ არის

### მოვალეთა რეესტრი

რეგისტრირებული არ არის

2022 წლის პირველ იანვრამდე რეგისტრირებული სუბიექტი ვალდებულია 2022 წლის 1 იანვრიდან 2 წლის განმავლობაში უზრუნველყოს სარეგისტრაციო მონაცემების 04.08.2021 წ. „მენარშეთა შესახებ“ საქართველოს კანონთან შესაბამისობაში მოყვანა. კანონით გათვალისწინებულ ვადაში ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში სუბიექტის რეგისტრაცია გაუქმებულად მიიჩნევა.

- დოკუმენტის ნაშედილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge);
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge), ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405 405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405 405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 2 405 405
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვცნერეთ ელ-ფოსტით: [info@napr.gov.ge](mailto:info@napr.gov.ge)



15. დანართი 3 - ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის წერილი



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის  
ქალაქგანვითარებისა და ურბანული  
პოლიტიკის სამსახური



წერილის ნომერი: 06-142314046  
თარიღი: 20/05/2023

აღრესი: შპს პეტროკას ფიუელ სერვისიზ ჯორჯია  
საიდენტიფიკაციო ნომერი: 405208216  
მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 34

შპს პეტროკას ფიუელ სერვისიზ ჯორჯია

ს/კ:405208216

თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 34

**ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი**  
**10/1423110342-14 - 20.04.2023** განცხადების პასუხად, გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ სამშენებლოდ მოთხოვნილი ტერიტორია წარმოდგენს ზელოკალური სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ტერიტორიას, რომელზეც დასაშვებია შემდეგი სახის ობიექტები: ა) საავტომობილო ტრანსპორტის ტერიტორია (საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი საავტომობილო გზები, სხვა, მუნიციპალური ტრანსპორტის და მთავარი გზების კარკასი და მათი გამტარი ნაგებობები); ბ) რკინიგზა (მათ შორის, ტრამვაი, ფუნიკულიორი და მეტრო); გ) საბაგირო; დ) მთავარი გზები (მაგ., გზა, ბულვარი, პრომენადე); ე) საჰაერო ტრანსპორტის ტერიტორია (აეროპორტი, აეროდრომი, ვერტოდრომი, პლანერი). ლოკალური ტრანსპორტის ტერიტორია და მთავარი ქუჩები გულისხმობს შემდეგი სახის ტერიტორიების და ობიექტების არსებობას: ა) მთავარი ქუჩების კარკასი; ბ) სპეციალური დანიშნულების სატრანსპორტო ტერიტორია (საერთო სარგებლობის პარკინგისთვის, ქვეითთა ზონისთვის და სხვა). განსაზღვრულ ტერიტორიებზე შესაბამისად გამოყოფილ არეალებში დასაშვებია: ა) ავტოსადგომები; ბ) ავტოგასამართი სადგურები ან ავტოგასამართი კომპლექსები, აირგასამართი ან აირსავსები საკომპრესორო სადგურები; გ) გზატკეცილების გასხვისების ზოლები და სადგურები (მათ შორის აეროსადგურები, საწყლოსნო სადგურები, ავტოსადგურები, რკინიგზის სადგურები); დ) სატრანსპორტო მომსახურების უზრუნველმყოფი სხვა საზოგადოებრივი სამყოფები/სათავსები კანონმდებლობის შესაბამისად; ე) გამწვანებული გზაგამყოფები. სატრანსპორტო მომსახურების უზრუნველმყოფი სამყოფების მშენებლობის მიზნებისთვის უნდა განხორციელდეს განაშენიანების დეტალური გეგმა ან გენ. გეგმის დამუშავება.

დამატებით განვიმარტავთ, რომ ამ ეტაპზე ბათუმის განაშენიანების გეგმა დამუშავების პროცესშია.

მამუკა რამიშვილი

ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის  
სამსახური-სამსახურის უფროსი (დროებით მოვალეობის  
შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამი

